პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 121 (12035)
კვირა, 28 მაისი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

# ნ. ს. ხრუშჩოვი ვენას გაემგზავრა

27 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედისთან შესახვედრად, რომელიც გაიმართება 3-4 ივნისს ვენაში (ავსტრია).

ვენას მიმავალი ნ. ს. ხრუშჩოვი აპირებს გაჩერდეს უკრაინაში და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით შეივლის ჩეხოსლოვაკიაში.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად ვენას გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. ფ. დობრინინი და სხვა ოფიციალური პირნი.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის ვენის შეხვედრების პროგრამა

**შაბათი, 3 ივნისი**

12.45 ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. კენედის შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში.

13.30 საუზმე ჯ. კენედის სახელით ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში.

15.00 ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. კენედის შეხვედრის გაგრძელება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში.

18.00 შეხვედრის დამთავრება.

სადილი ავსტრიის პრეზიდენტის სახელით ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. კენედის პატივსაცემად.

**კვირა, 4 ივნისი**

10.15 ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. კენედის შეხვედრა სსრ კავშირის საელჩოში.

13.00 საუზმე ნ. ს. ხრუშჩოვის სახელით ჯ. კენედის პატივსაცემად სსრ კავშირის საელჩოში, რასაც მოჰყვება დასკვნითი შეხვედრა.

15.15 ჯ. კენედის გამგზავრება სსრ კავშირის საელჩოდან.

# მრავლდებოდეს გმირები!

ოქრო პატარაა, მაგრამ კარგია, ძვირფასია, — ვამბობთ ხოლმე და ამ სასიამოვნო გრძნობის აღმძვრელ სიტყვაში ვგულისხმობთ კეთილ, საქმიან, პირნათლიერ, თავაზიან, სამშობლოს უსაზღვრო მოტრფიალე, შრომის მოყვარე პიროვნებას. და რომ ეს უფრო კიდევ უკეთ გამოვხატოთ, სხარტად ვიტყვით — ოქრო ადამიანია.

სიტყვა ბაგიდან თვითონ მოგწყდება, რომ წრფელი გულით, მადლიერებით, სიამაყით შეაქო, ვინც ხალხმა, მთელმა ქვეყანამ შეიყვარა და დიდებით შემოსა. რამდენჯერ გვითქვამს ამა თუ იმ ადამიანზე — თვალში რომ ჩაგივარდეს, ხელსაც არ ამოისვამო.

სწორედ ასე სასიყვარულო, საუცხოო თვისებებით შემკული ადამიანი ჰყავდა მხედველობაში ამხანაგ ხრუშჩოვს, როცა თქვა — ადამიანი ლამაზია თავისი სულით, თავისი გონებით, ჩვენი ამოცანების სიდიადის შეგნებით, გულითადი მონაწილეობით კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაშიო.

და რომ ეს ასეა, ამაზე მეტყველებს წარჩინებულ ადამიანთა ნაამაგარის, „ხელი-ხელ საგოგმანები“ საქმეების ესოდენ დიდი დაფასება ჩვენი ხალხის, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის მიერ.

ბევრია გმირთა სახელი და ჩვენც ის გვახარებს, რომ დღითიდღე იზრდება, საათობით მრავლდება შემოქმედებითი შრომით განთქმულთა, ხალხის სიყვარულით მოსილთა რიცხვი ჩვენს დიად სამშობლოში, ჩვენს მშვენიერ, აყვავებულ, მზიურ საქართველოში.

გვიყვარს, გვახსოვს საქვეყნოდ ცნობილი ადამიანების — რუსთაველი მეტალურგების: არჩილ ძამაშვილის, გიორგი ხიგუას და ამირან ფანცულაიას, გორელი ფეიქრის ელენე გეგელაშვილის, ტყიბულის ქვანახშირის მნგრეველის შოთა კუბლაშვილის, თბილისის ელმავალმშენებლო ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირის გურამ ჩადუნელის, მექანიზატორ გიორგი თინაშვილის, მეცხოველეობის ნოვატორი მწყემსების გიორგი ჩალაბაშვილისა და გიორგი მჭედლიშვილის, ჩაის ფოთლის რეკორდსმენი მკრეფავის ტატიანა ჩხაიძის, ზუგდიდელი მესიმინდე კონსტანტინე სანდუხაძის, სამგორელი და საგარეჯოელი მწველავების სოფიო დელიბაშვილისა და მერი კვაჭანტირაძის და სხვა მრავალთა სახელი.

სწორედ რომ ზედგამოჭრილია, კარგად მოუდგება ჩვენი სამშობლოს ამ გამორჩეულ ადამიანებს და მათი შრომითი გმირობით შთაგონებულ ახალ მოკაშკაშე მუშკურებს შოთას აფორიზმი — სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა. კარგად იციან ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებმა, რომ მათი შრომა წვლილია საბჭოთა ხალხების ღონისძიებებში დიადი მომავლის შესაქმნელად. მათ კარგად იციან, რომ სამშობლო ფართო სარბიელს დაუთმობს, ყველას გულთან მიიტანს, სიყვარულით აიტაცებს და დანერგავს ყოველივე ახალსა და კარგს, რაც წინ წასწევს ჩვენს საერთო საქმეს, დააჩქარებს კომუნიზმის შენებას.

და რომ ეს ჩინებულად იციან, ამიტომაც იღწვიან ასე თავდადებით ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად კულტურის, მეცნიერების, სახალხო მეურნეობის, ჩვენი საზოგადოებრიობის მშენებლობის ყველა დარგში. ერთნი — მძლავრ თბომავლებს უშვებენ სამშობლოს ლიანდაგებზე საქროლებლად, მოზმლიერ ფოლადს ადნობენ რუსთავის ღუმელებში, ქვანახშირისა და მარგანეცის მთებს ანგრევენ შახტებსა და მაღაროებში, მეორენი — ქართულ მიწას ამუშავებენ მარცვლეულის უხვი მოსავლის მოსაწევად, თვალის ჩინივით უფრთხილდებიან ზვრებს, ბაღებსა და პლანტაციებს, რომ რესპუბლიკა გაამდიდრონ ყურძნის, ხილის, ჩაის, ნარინჯოვანთა მაღალი მოსავლიანობით, მესამენი — ზამთარ-ზაფხულ ცხვრის ფარებში, საქონლის ჯოგებში არიან და წლითი-წლობით ზრდიან მეცხოველეობის განვითარების დონეს.

გიხაროდეს, მამულო, რომ შენს დიდებას გმირულ შრომაში ჰქედენ შენი ერთგული, ალალი გულით მოტრფიალე გამრჯე შვილები.

— მადლობა, დიდი მადლობა, — გულით ეუბნება მათ მშვიდობისმოყვარე ხალხი, მთელი ჩვენი სამშობლო და ამასთანავე მოუწოდებს, რომ არ შეანელონ საკუთარი გამოცდილების გაზიარება, აღზარდონ, გამოავლინონ ახალი მუშკურები, რომლებიც მათ ისედაც დიდ სახელს უფრო აამაღლებენ, ოქროს ასოებით შეავსებენ ერის ისტორიის, დღევანდელობისა და მშვენიერი მომავლის ფურცლებს.

საშვილიშვილო საქმეა შრომის გმირთა ახალი თაობის აღზრდა და ფართო სარბიელზე გამოყვანა. გახსოვდეს, დიდებით მოსილო მოწინავე ადამიანო, რომ — აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა. და შენც იზრუნე, ჩემო მამულიშვილო, რომ ამრავლო მიღწეული წარმატება, სხვაც დააუფლო არჩეულ პროფესიას, ფართო ასპარეზი გაუხსნა ახალგაზრდა ადამიანის ნიჭს, უნარს, მონდომებას, მისწრაფებას.

დე, იზრდებოდეს, მრავლდებოდეს სამშობლოს დიდებისა და შემდგომი აყვავებისათვის დაუცხრომელ მებრძოლთა რიცხვი.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბოლივიის პარლამენტარების დელეგაცია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 26 მაისს კრემლში მიიღო ბოლივიის პარლამენტარების დელეგაცია არმანდო მოლინედოს მეთაურობით. დელეგაცია საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით. მის შემადგენლობაში არიან სენატორი ალვარეს პლატა, პარლამენტის წევრები მარიო რონკალი, უგო სუარესი, სატურნინო ლიმა, უმბერტო ლოსანო, რაულ ლარეა.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და დელეგაციის წევრებს შორის მეგობრული საუბარი გაიმართა.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. პ. სკლიაროვი, რომელიც დელეგაციის თან ახლავს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

## ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება

**1961 წლის 25 მაისისათვის (ტონობით)**

| | გეგმა | | | შესრულების პროცენტი | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1961 წლიური | მაის-ივნისი | შესრულდა | წლიური გეგმა | მაის-ივნისი |
| აჭარის ასსრ | 25800 | 12030 | 7121 | 27,5 | 59,2 |
| აქედან: | | | | | |
| ქობულეთის | 19000 | 8880 | 4954 | 26,1 | 55,5 |
| ბათუმის | 6460 | 3084 | 2118 | 32,8 | 68,8 |
| ქედის | 140 | 66 | 49 | 35,0 | 74,2 |
| აფხაზეთის ასსრ | 25000 | 11000 | 5645 | 22,6 | 51,3 |
| აქედან: | | | | | |
| გალის | 12870 | 5683 | 2835 | 22,0 | 50,1 |
| ოჩამჩირის | 8130 | 3577 | 1897 | 23,3 | 53,0 |
| სოხუმის | 1200 | 528 | 342 | 28,5 | 64,8 |
| გუდაუთის | 2800 | 1232 | 571 | 20,4 | 46,3 |
| მახარაძის | 30580 | 14175 | 6858 | 22,4 | 48,4 |
| ლანჩხუთის | 8450 | 3990 | 2185 | 25,8 | 54,9 |
| ჩოხატაურის | 4570 | 2145 | 1152 | 25,2 | 53,7 |
| ზუგდიდის | 19000 | 8745 | 3813 | 20,1 | 43,6 |
| წალენჯიხის | 8480 | 3874 | 1536 | 18,2 | 39,6 |
| გეგეჭკორის | 7187 | 3229 | 1381 | 19,2 | 42,8 |
| ჩხოროწყუს | 5850 | 2704 | 1331 | 22,8 | 49,2 |
| ცხაკაიას | 3055 | 1418 | 678 | 22,2 | 47,9 |
| ხობის | 2400 | 1113 | 640 | 26,7 | 57,5 |
| ტყიბულის | 3000 | 1360 | 858 | 28,6 | 62,2 |
| წულუკიძის | 2610 | 1230 | 793 | 30,4 | 64,5 |
| წყალტუბოს | 2620 | 1200 | 766 | 29,2 | 63,8 |
| სამტრედიის | 840 | 390 | 266 | 31,7 | 68,2 |
| აბაშის | 400 | 180 | 95 | 23,8 | 52,8 |
| თერჯოლის | 190 | 76 | 87 | 45,8 | 114,5 |
| ზესტაფონის | 40 | 16 | 15 | 37,5 | 93,8 |
| ქ. ჭიათურა | 120 | 50 | 49 | 40,8 | 98,0 |
| ვანის | 50 | 20 | 23 | 46,0 | 115,0 |
| ქ. ფოთი | 8 | 3 | 2 | 25,0 | 66,7 |
| სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში | 150000 | 68385 | 35244 | 23,5 | 51,2 |
| იყო 1960 წლის 25 მაისისათვის | 138000 | 64800 | 25480 | 18,5 | 39,3 |
| იყო 1961 წლის 20 მაისისათვის | — | — | 23868 | 16,0 | 34,8 |

## მიესალმებიან ავღანელ ხალხს

მოსკოვი, 26 მაისი, (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დეპეშა გაუგზავნა ავღანეთის პრემიერ-მინისტრს სარდარ მუჰამედ დაუდს და მიულოცა ავღანელ ხალხს ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის 43 წლისთავის დადგომა. მან რწმენა გამოთქვა, რომ სსრ კავშირისა და ავღანეთის თანამშრომლობა, რაც ემყარება ნდობასა და ურთიერთპატივისცემას, კვლავაც განვითარდება ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამყარების ინტერესებისათვის.

ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰისათვის გაგზავნილ დეპეშაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს მეგობარი ავღანეთის წარმატებებს მისი ეკონომიური და ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების, მშვიდობისა და პროგრესის გზით განვითარების საქმეში.

• • •

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს და საგარეო საქმეთა მინისტრს სარდარ მუჰამედ ნაიმს.

## საზეიმო კრება

### მესაზღვრის დღის აღსანიშნავად

27 მაისს ფ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიმართა მესაზღვრეთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრება გახსნა გენერალ-მაიორმა ნ. პაოლშუკმა.

მოხსენება — საბჭოთა სასაზღვრო ჯარების 43 წელი — გააკეთა პოლკოვნიკმა ვ. შურმა.

სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის წლებში, მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, თქვა მან, მესაზღვრეებმა ცხადყვეს, რომ მშობლიური ქვეყნის ერთგული და უშიშარი დამცველები არიან. მათი აზრი, მისწრაფება, საქმენი ერთ მიზანს ისახავს: კიდევ უფრო აიმაღლონ საბრძოლო მზადყოფნა, არ მისცენ საშუალება მტერს შემოაღწიოს ჩვენს ქვეყანაში.

ყოფილ მეომარ მესაზღვრეთა სახელით, რომლებიც წარმატებით შრომობენ შვიდწლედის მშენებლობებზე კრასნოიარსკში, საზეიმო კრების მონაწილეებს გულთბილად მიესალმა კრასნოიარსკის „ალუმინმშენის“ ტრესტის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი კ. როგინსკი.

# ტექნიკური ინტელიგენციის ახალი კადრები

გუშინ ლამაზად მორთულ სპორტის სასახლეში შეიკრიბნენ ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორები, მასწავლებლები, სტუდენტები, მოსამსახურეები და მუშები. აქ გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის უდიდესი უმაღლესი სასწავლებლის — პოლიტექნიკური ინსტიტუტის 33-ე გამოშვებას.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, გ. ი. ქადაგიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, გ. ა. გეგეშიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე. პრეზიდიუმში არიან აგრეთვე ინსტიტუტის პროფესორები და მასწავლებლები, მოწინავე სტუდენტები, კურსდამთავრებულები.

სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. ხუროშვილმა.

ინსტიტუტის დირექტორმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. ბუაჩიძემ შეკრებილთ უამბო ინსტიტუტის კურსდამთავრებულების შესახებ, რომლებიც ახლა ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში მუშაობენ. მარტო წელს ამ უმაღლესმა სასწავლებელმა ჩვენს ქვეყანას მისცა 1.800 ახალგაზრდა სპეციალისტი — მშენებელი, მეტალურგი, ქიმიკოსი, ელექტრიკოსი, მექანიკოსი — სულ დაახლოებით 57 სხვადასხვა სპეციალობის კადრი. მან კურსდამთავრებულებს უსურვა შემდგომი წარმატებანი შრომით საქმიანობაში.

ახალგაზრდა ინჟინრებს გულთბილად მიულოცეს და წარმატებანი უსურვეს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჩოგოვაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. აბელიშვილმა, მთავართბილისმშენის ტრესტის მმართველმა გ. ქართველიშვილმა, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის დიპლომანტმა ნ. ვეფხვაძემ, ქიმიური და კვების მრეწველობის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა თ. სიხარულიძემ, ახალგაზრდა სპეციალისტმა ჯ. გიორგაძემ.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან მიულოცა ახალგაზრდა სპეციალისტებს ინსტიტუტის დამთავრება და უსურვა წარმატებანი ცხოვრებასა და შრომაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დასასრულ ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედების ძალებით გაიმართა დიდი კონცერტი.

(საქდესი).

## დავალება 5 დღით ადრე

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). ახალსოფლის სასოფლო-სამეურნეო არტელის მეჩაიეებმა პირველი წარმატება მოიპოვეს — მაისის ვალდებულება 5 დღით ადრე, 25 მაისისათვის შეასრულეს, შეჯიბრებით ნაკისრი 67 ტონის ნაცვლად 71 ტონა „მწვანე ოქრო“ ჩააბარეს წარმოებას.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს ცნობილმა მკრეფავებმა ნ. მურვანიძემ, ა. ახალაძემ, ს. კუპატაძემ, ლ. კეჭაყმაძემ, ნ. ჭანტურიამ და სხვებმა, რომლებიც 200-300 პროცენტით ასრულებენ ნორმებს.

## გუშინ ჩაის პლანტაციებში



**გალი** გუშინ რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს. ყველაზე წინ არიან სოფელ ჩხორთოლის ბარათაშვილის სახელობის, ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობები, სოფელ თაგილონის კოლმეურნეობა „სალხინო“ და ზემო ბარღების კოლმეურნეობა „გიგანტი“. ჩხორთოლელმა ლიდა ბახბაიამ მოკრიფა 90 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ციალა გალობელმა — 80 კილოგრამი, სულიკო ვაზენიშვილმა — 75 კილოგრამი, მუხურელმა ვალიდა გეთიამ მოკრიფა 100 კილოგრამი, ვალია გვალიამ — 90 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

**ცხაკაია** დიდ წარმატებას აღწევს სოფელ ზანის ქდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ცნობილი მკრეფავი ტატიანა ტყებუჩავა. მან მოკრიფა 252 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და წელს იმისათვის იბრძვის, რომ სამშობლოს მისცეს 17.000 კილოგრამი ჩაის ნედლეული. სოფელ ეკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ნინო ელიავამ მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

## ამბები, ფაქტები, ცნობები

# ფხიზელი გუშაგები

### 28 მაისი — მესაზღვრის დღე

დღისით და ღამით, სუსხიან ყინვასა და ქანცგამომცლელ სიცხეში ეწევიან თავიანთ საპატიო ვახტს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საზღვრების დასაცავად ჩვენი სამშობლოს სახელოვანი შვილები — მესაზღვრე მეომრები.

ორმოცდასამი წლის წინათ, იმ დღიდან, რაც ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტს საზღვრის დაცვის დაწესებისა და მისი ამოცანების შესახებ, დაიწყო საბჭოთა მესაზღვრე ჯარების საბრძოლო ისტორია. სამშობლოს წინაშე მათი დამსახურების აღსანიშნავად საბჭოთა მთავრობის დადგენილებით ეს დღე — 28 მაისი — გამოცხადებულია მესაზღვრეთა ყოველწლიურ დღესასწაულად.

„მწვანე ქუდიანი ადამიანები“, — ასე უწოდებს სიყვარულით ჩვენი ხალხი მშობლიური მიწის მოწინავე ხაზის საიმედო მუშაკებს. სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის წლებში, მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებში საბჭოთა მესაზღვრეებმა დაიმსახურეს ეს საყოველთაო სახალხო სიყვარული და პატივისცემა. საბჭოთა არმიის მეომრებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით, საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებთა აქტიური მხარდაჭერით მესაზღვრე მეომრებმა ყოველთვის წარმატებით ჩაფუშეს მტრის მზაკვრული ზრახვები, ამასთან გამოიჩინეს განსაკუთრებული გამბედაობა, მამაცობა და გმირობა.

მესაზღვრე ჯარების მატიანეში ბევრი საგმირო საქმეა ჩაწერილი. ერთ-ერთი ასეთი გმირობა მოახდინა 1924 წელს მებრძოლთა ჯგუფმა, რომელსაც უბნის კომენდანტი ამხ. პიჩკანი მეთაურობდა. მეომრები გაბედულად შეებრძოლნენ 60 კაცის ბანდას და განსაკუთრებული მამაცობა გამოიჩინეს. წინ, ბრძოლის შუაგულში, ყოველთვის იმყოფებოდა პოლიტმებრძოლი კომუნისტი ნადირაძე. იგი აღაფრთოვანებდა ამხანაგებს პირადი გმირობით, ბანდა მთლიანად გაანადგურეს.

საბჭოთა მესაზღვრეების ძალა, მამაცობა და სიმტკიცე არაერთხელ გამოსცადეს იაპონელმა იმპერიალისტებმა. სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს მახალინის, ვინევიტინის, ბატორშინის, ჩერნოპიატკოსა და ტერეშკინის გმირობას; ისინი პირველი მესაზღვრეები იყვნენ, რომლებსაც 1938 წლის ზაფხულში ხასანის ტბაზე გამართულ ბრძოლაში გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭათ.

საბჭოთა მესაზღვრეებმა პირველმა განიცადეს ჰიტლერელთა ურდოების დარტყმა 1941 წლის 22 ივნისს. საუკუნეებში არ დაიჩრდილება გმირობა ბრესტის ციხე-სიმაგრის დამცველებისა, რომელთა შორის ბევრი მესაზღვრე იყო. „ლომებივით იბრძოდნენ საბჭოთა მესაზღვრეები, რომლებმაც პირველმა განიცადეს მუხანათი მტრის პირველი დარტყმა... — წერდა გაზეთი „პრავდა“ 1941 წლის 24 ივნისს, — ისინი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ და მხოლოდ გვამებზე გადავლით შეძლო მტერმა წინ წაწევა“.



საბჭოთა არმიის მეომრებთან ერთად მესაზღვრეები იბრძოდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის მისადგომებთან, იმიერპოლარეთში, კავკასიის ფრონტზე გმირულად იცავდნენ ოდესას, სევასტოპოლს, სტალინგრადს, შტურმით აიღეს ბერლინი.

სამშობლომ დიდად დააფასა მესაზღვრე მეომართა გმირული საბრძოლო საქმენი. ბევრი ნაწილი დაჯილდოებულია ორდენებით და მიეკუთვნა საპატიო სახელწოდებანი. 108 მესაზღვრეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება, ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

საბჭოთა ადამიანებმა ძლევამოსილად დაამთავრეს ომი და მშვიდობიან შრომას დაუბრუნდნენ. ძირეულად გაუმჯობესდა სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. ახლა ჩვენი საზღვრის მნიშვნელოვანი ნაწილი გადის მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან.

საბჭოთა მესაზღვრეები კვლავ საბრძოლო პოსტზე არიან. ჩვენი ქვეყნის საზღვრის მეომრები, მათ შორის საქართველოს მეომრებიც თავიანთი თავდადებული, ფხიზელი სამსახურით, პატრიოტული საქმეებით ამრავლებენ სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს. მათ დააკავეს მტრის ბევრი ჯაშუში, დივერსანტი.

ჩვენი სამშობლოს საზღვარს საიმედო გუშაგი იცავს, იგი მიუწვდომელია ყოველგვარი მტრისათვის აგრეთვე იმიტომაც, რომ საზღვარს იცავენ არა მარტო მესაზღვრეები, არამედ ყველა საბჭოთა ადამიანი. მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, მოსწავლეებმა არაერთხელ აღმოაჩინეს და ხელი შეუწყეს საზღვრის დამრღვევთა დაკავებას.

მთელ თავიანთ სახელოვან საქმეებს მესაზღვრე მეომრები უმადლიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მისი განუწყვეტელი ხელმძღვანელობა საზღვრის დაცვისათვის საბრძოლო დახელოვნების საქმეში მოპოვებული ყველა წარმატების წყაროა.

მაიორი ა. როგაჩი.

• • •

სურათზე: მესაზღვრენი სამხრეთ [illegible]

## კარგი მთქმელის კარგი გამგონენი

### იწონებენ პატრიოტულ ინიციატივას

ხობი. (საკ. კორ.). ხობელი მეჩაიეები მხარდამხარ მიჰყვებიან ზუგდიდელი მეჩაიის მერი ქარდავას საუცხოო თაოსნობას — შვიდწლედის მესამე წელს პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფონ 500 კილოგრამით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, ვიდრე გასულ წელს.

სოფელ ბიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები თამარ შონია, მერი თუთბერიძე, სულიკო დაგანაძე, ლიანა სორდია, თინა თოდუა და სხვები მერი ქარდავას მიმდევრები არიან. მათ გადაწყვიტეს მიმაგრებული ჩაის პლანტაციიდან შარშანდელთან შედარებით ჰექტარზე გადაყვანით მოკრიფონ 500 კილოგრამით მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

მერი ქარდავას თაოსნობას გამოეხმაურნენ აგრეთვე საჯიჯაოელი, ახალხიბულელი, ნოჯიხეველი, ქვალონელი მეჩაიეები.

**165.000 ტონა სამშობლოს!**

# ომის ნაკვალევზე

## ეფრეიტორ ავთანდილ კოხაძის მამაცობა



გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ 28 მაისს გამოქვეყნებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით იმ სამხედრო მოსამსახურეთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საბჭოთა არმიის სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებაში.

დაჯილდოებულთა შორის არის ჩვენი თანამემამულე ეფრეიტორი ავთანდილ ალის-ძე კოხაძე. იგი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

უკვე საგრძნობლად დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც მიწყნარდა სამამულო ომის ფრონტებზე საარტილერიო ქვემეხთა ხმაური, მაგრამ ჯერაც არ დამთავრებულა ვერაგი მტრის — ჰიტლერელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე ქურდულად მიწაში ჩაწყობილი ფეთქებადი მასალებისა და ბომბების კვლების გაუვნებლება.

1960 წლის ზაფხულში ქალაქ ორიოლსა და სადგურ ზმიევკას შუა გადასარბენზე რკინიგზის ლიანდაგებს შორის აღმოჩენილ იქნა საავიაციო ბომბი.

ბომბის გაუვნებლებისათვის დაწყებულ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა მაიორი ვ. კარასევი. საქმეს ართულებდა ინტენსიური მოძრაობა, ხოლო ბომბის ამოსაღებად აუცილებელი იყო მოძრაობის გარკვეული ხნით შეჩერება. მაიორ კარასევის ქვეგანაყოფის მესანგრეებმა სხვა საშუალება აირჩიეს. მათ გათხარეს ჰორიზონტალური გვირაბი და მიაღწიეს ბომბის ადგილს. აღმოჩნდა, რომ ბომბის ასაფეთქებელი მზა მდგომარეობაში იყო. ოდნავი შერხევისას იგი აფეთქდებოდა. მაიორმა კარასევმა პირადად იკისრა ბომბის გაუვნებლება, ასაფეთქებელ მოწყობილობაში სწრაფმკვრივადი სითხის ჩასხმა, რათა ნიადაგის შერხევისას (მატარებლის გავლისას) აფეთქება არ მომხდარიყო.

მაიორმა ვ. კარასევმა შესანიშნავად შეასრულა ეს სამუშაო, და ბომბი გაუვნებლებულ იქნა.

გულადობით ისახელა თავი ეფრეიტორმა ავთანდილ კოხაძემ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სადგურ კოჩეტოვკის მახლობლად (ტამბოვის ოლქი) 500-კილოგრამიანი საავიაციო ბომბის გაუვნებლებაში.

მრავალი წლის განმავლობაში იყო ეს ბომბი ჩაფლული მიწაში. მესანგრეთა ჯგუფი მის გათხრას სამ დღეს მოუნდა. მხოლოდ მეოთხე დღეს მიაღწიეს ბომბის სტაბილიზატორამდე და შეუდგნენ ბომბის ტანის გაწმენდას მიწისაგან. აქ იჩინა თავი სირთულემ: საჭირო იყო იმის გამოცნობა, თუ რა მარკის საფეთქებელი ჰქონდა ბომბს, რა მდგომარეობაში იყო საფეთქებლის ნაწილები, რომლებსაც მიწა ფარავდა.

ეფრეიტორმა ა. კოხაძემ გადაწყვიტა ბომბი ამოეღო ისე, რომ საფეთქებლის ნაწილებისათვის მიწა ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ და თვით ბომბის მდებარეობაც ოდნავ არ შეეცვალა. ეს მოახსენა მეთაურს და, მისგან დასტური რომ მიიღო, რამდენიმე საათის ფრთხილი, ზედმიწევნით მარჯვე მუშაობის შემდეგ ბომბი ამოიღო და ასაფეთქებელ მოედანზე გაგზავნა.

მამაცობით ისახელა სამშობლო ავთანდილ კოხაძემ.

• • •

სურათზე ა. კოხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ. ს. ხრუშჩოვმა გვირჩია, შევასრულებთ!

პარტიულ თემაზე

ალ. ასათაშვილი,
საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველი მდივანი

საქართველოს მშრომელებმა კანონიერი სიამაყით აღნიშნეს დიდი ეროვნული დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავი. განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ საბჭოთა საქართველოს ამ დიდ ზეიმში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

საქართველოში ყოფნის რამდენიმე დღის განმავლობაში ამხანაგმა ხრუშჩოვმა ნახა საქართველოს ზოგიერთი კუთხე, ქარხანა, კოლმეურნეობა... ძვირფასი სტუმარი იყო თელავის რაიონშიც. ნიკიტა სერგის-ძემ დაათვალიერა ჩვენი ნაშრომი, ზოგიერთი რამ მოგვიწონა, ამასთან ბევრი ძვირფასი რჩევაც მოგვცა.

ამხანაგ ხრუშჩოვს განსაკუთრებით აინტერესებდა, თუ ჩვენი რაიონის მშრომელები პრაქტიკულად როგორ ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, და როცა სოფელ შალაურის კოლმეურნეობის სიმინდის ნათესები დაათვალიერა, თქვა:

— აქ სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად რომ დაგეთესათ, მოიგებდით, კოლმეურნეებს შრომა შეუმსუბუქდებოდათ, მოსავალი უხვად მოვიდოდა.

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძეს მოვახსენეთ, რომ ეს ნიადაგები სავსეა სატელეფონო ხაზის ბოძებით. მექანიზატორებმა სცადეს პროგრესული წესით დათესვა, მაგრამ კვადრატები სწორი არ გამოვიდა.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა ღიმილით გვითხრა:

— ჩანს, რომ მექანიზატორები კარგად ვერ ფლობენ კვადრატულ-ბუდობრივად თესვის ტექნიკას. არიან ადამიანები, რომლებიც ასეთ და უფრო მიუდგომელ ნაკვეთებში პროგრესული წესით თესავენ, კვადრატებიც ზუსტი გამოდის. საჭირო იქნება მათგან ისწავლოთ.

ქალაქ თელავის ჩრდილოეთით, ალაზნის მარჯვენა მხარეს ასობით ჰექტარი მინდვრები და ვენახებია, რომლებიც კურდღელაურის ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის. კურდღელაურელებს შარშანდელთან შედარებით 45 ჰექტარით მეტი სიმინდი უთესიათ. აქაურმა მექანიზატორებმა ნაყოფიერად იმუშავეს და 140 ჰექტარზე სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს. „მინდვრის დედოფლის" კვადრატები ყველგან ზუსტია. აი ნათესების პირველი კულტივაციაც დაამთავრეს, მალე მეორეს დაიწყებენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მონაწილე ამხ. გ. ცხადაძე და მექანიზატორები საპატიო სტუმარს „ჩარხუდაში" შეხვდნენ. ტრაქტორისტები ჭარხლის ნათესის კულტივაციას ატარებდნენ... ამხანაგმა ხრუშჩოვმა მწვანე კვადრატები დაათვალიერა და კარგიაო, აღნიშნა. შემდეგ სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს ოთარ კევლიშვილს მხარზე ხელი მოხვია და თქვა:

— აი კაცი, რომელმაც გამიგო, მხარს მიჭერს. ყოჩაღ! მაგრამ თუ არ ეწყინება, ნაკლიც უნდა ვუთხრა. ზოგ ბუდნაში ერთი ძირი სიმინდი ამოსულა, ზოგან კი — სამი-ოთხი. ჩანს, რომ თესვის დროს გამომთესი აპარატის რეგულირება ნორმალური არ იყო ან თესლი ვერ დააკალიბრეთ.

ეს სავსებით სამართლიანი შენიშვნაა. მიმდინარე წლის თებერვალში, როცა ამხანაგი ხრუშჩოვი საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს" ეწვია, მექანიზატორებმა მოახსენეს, არსებული სათესი მანქანებით კვადრატულ-ბუდობრივად თესვა არ ხერხდებაო, საქმე ის იყო, რომ ადგილობრივი ჯიშის სიმინდის თესლი თავისი სიმსხოთი მანქანების გამომთეს დისკოებში თანაბრად არ გადიოდა.

მაშინ ამხანაგმა ხრუშჩოვმა ურჩია სათესი მანქანების გამომთესი დისკოები შეეცვალათ. თუმცა კურდღელაურელებმა სათესები დაგვიანებით მიიღეს, ამასთან სათესი აპარატის რეგულირება სათანადოდ ვერ მოახდინეს. მომავალში ამ ნაკლს მარტო კურდღელაურში კი არა, ყველაგან გამოვასწორებთ.

ნაკვეთები, სადაც კულტივაცია ჩატარდა, გათოხნილი არ იყო, სიმინდს სარეველა ბალახები მორეოდა. ამხანაგმა ხრუშჩოვმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. ცხადაძეს უთხრა:

— სიმინდის კომპლექსური მექანიზაციით დამუშავება მხოლოდ იქ არის საკმარისი, სადაც სარეველები არ არის. თქვენთან სიმინდის ნათესებში მარტო კულტივაცია საქმეს არ უშველის. თუ გინდათ, რომ მოსავალი უხვი მოვიდეს, ჯერ-ჯერობით თოხზე უარი არ უნდა თქვათ.

კურდღელაურელებმა ეს მითითება შეასრულეს. მეორე დღეს სიმინდის სათოხნად ორასზე მეტი კაცი და ქალი გავიდა. ერთ დღეში 40 ჰექტარი სიმინდი გათოხნეს. კურდღელაურელთა მაგალითისამებრ რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა სიმინდის პირველი თოხნა. უკვე გათოხნილია ორი ათასი ჰექტარი. ართანის ქვემო ხოდაშნის, ვანთის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა სიმინდის ნათესის პირველი დამუშავება უკვე დაამთავრეს.

ალაზნის ველზე წელს გვალვაა. ამხანაგ ხრუშჩოვს მოვახსენეთ, რომ აქ ეს იშვიათი შემთხვევა არ არის. ნათესები ხშირად უწყლობით ილუპება. საჭიროა ველის მორწყვა.

მან თქვა:

— ვნახე თქვენი ვენახები და დავრწმუნდი, რომ ალაზნის ველზე ვაზი კარგად ხარობს. იგი სხვა კულტურებთან შედარებით გვალვაამტანია. უკეთესი იქნება, თუ სხვა კულტურების თესვის შემცირების ხარჯზე ვენახების ფართობს გავადიდებთ. გვალვას ხეხილიც კარგად უძლებს. ალაზნის ველზე ბაღებიც სწრაფად უნდა ვაშენოთ.

ეს სასარგებლო მითითება არასოდეს არ დაგვავიწყდება. ჩვენი რაიონის მშრომელები ბაღ-ვენახების ფართობების გასადიდებლად ძალ-ღონეს არ დაიშურებენ. მარტო კოლმეურნეობებში 1958 წელთან შედარებით ვენახის ფართობი 1.640 ჰექტარით გადიდდა. 1965 წლისათვის კი გადაწყვეტილი გვაქვს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 8.671 ჰექტარი ვენახი გვქონდეს. მარტო მიმდინარე წელს 530 ჰექტარ ახალ ვენახს გავაშენებთ. სამისოდ უკვე ნიადაგიც მზადა გვაქვს და სარგავი მასალაც.

ხეხილის გასაშენებლად უკანასკნელ წლებში ცუდად ვიმუშავეთ. რაიონის კოლმეურნეობებში მხოლოდ 184 ჰექტარი ბაღია. ისიც არ არის მოსაწონი, მზრუნველი ხელი აკლია, მცირე მოსავალსაც ვიღებთ. ჩვენი რაიონის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უახლოეს წლებში ალაზნის ველზე ვაშლი, მსხალი, ბალი, ატამი და სხვა ხილი დიდად გამრავლდეს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ გ. ს. ძოწენიძის თანხლებით დაწვრილებით დაათვალიერა წინანდლის ღვინის ქარხანა და მიწისქვეშა მარნები.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა გასინჯა 1894 წლის მოსავლის ღვინო და თქვა:

— არ მოხუცებულა, ჩემი ხნისაა.

როცა 1921 წლის მოსავლის ღვინო გასინჯა, ღიმილით განაცხადა:

— ესეც არ არის ურიგო, ამ წელს მე საქართველოში პირველად ვიყავი.

1949 წლის მოსავლის ღვინო „წინანდალზე" თქვა, მეტად ჰარმონიულიაო.

ქარხნის დირექტორმა ხ. ხოსროშვილმა შენიშნა:

— ამ წელს ქარხნის კოლექტივმა ლენინის ორდენი დაიმსახურა.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა ღვინოებს „ნაფარეულ № 27"-ს, „საფერავს" და „წინანდალს". მან თქვა:

— ასეთ კარგ ღვინოებს უკეთესი ქარხანა და ჭურჭელი შეჰფერის.

მართლაც და ქარხანაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სარდაფის კედლებსა და იატაკს მოპირკეთება სჭირდება. კარგი იქნება, თუ სამტრესტის ხელმძღვანელობა უფრო მეტად იზრუნებს წინანდლის ღვინის ქარხანაზე.

ქარხნის დირექტორმა განაცხადა:

— ხის ჭურჭელი არ გვყოფნის, იძულებული ვართ ღვინო რკინა-ბეტონის ბუტებში ჩავასხათ. რკინა კი ღვინოზე უარყოფითად მოქმედებს.

— ამ საკითხზე, — თქვა ამხანაგმა ხრუშჩოვმა, — ტექნოლოგებმა უნდა იფიქრონ. რაიმე საშუალებით ღვინოზე რკინის მოქმედება უნდა განეიტრალონ.

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მითითებები ჩვენი შემდგომი მუშაობის ფასდაუდებელი პროგრამაა. თელავის რაიონის პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა ორგანოები, ყველა მშრომელი ამ მითითებების სასახელოდ შესასრულებლად მთელი ენერგიით იბრძოლებენ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობებს.



## შრომობენ, იმარჯვებენ...

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში კომუნისტური შრომის ბრიგადები და ცალკეული დამკვრელები დღითიდღე აძლიერებენ სოციალისტური შეჯიბრების ტემპს, ახალ-ახალ საჩუქრებს უმზადებენ სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობებს.

გამოცდილი ფეიქრები თავდადებულ შრომასთან ერთად თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდა მქსოველებს.

ფაბრიკაში მრავალი გამოცდილი, თავისი საქმის დიდი ოსტატი ჰყავთ. ათეული წლების მანძილზე მუშაობაში შეძენილ მდიდარ გამოცდილებას ისინი სიამოვნებით გადასცემენ ახალგაზრდებს. ასეთ სახელოვან ფეიქართა ჯგუფს ეკუთვნის გამოცდილი მქსოველი ნ. გორგაძე. მან ბევრ ახალგაზრდას მოკლე დროში შეასწავლა ქსოვის პროფესია. მისი აღზრდილები ყოველთვის მოწინავე ფეიქართა მწყობრში დგანან, უშვებენ მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას და დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. სურათზე: ნ. გორგაძე (შუაში) უზიარებს თავის გამოცდილებას ახალგაზრდა მქსოველებს (მარცხნიდან) ნ. ყიფშიძეს, ნ. მათუშოვას, ნ. თვალჭრელიძეს და ე. ფიჩხაძეს.

ფოტო ბ. დადვაძისა.

### საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

## სკოლებიდან — მინდვრებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში

მთავრდება სასწავლო წელი, მალე დაიწყება გამოცდები. ეს აღელვებს თვითეულ მოსწავლეს, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად აღელვებს იმათ, ვინც გამოცდას აბარებს სიმწიფის ატესტატზე. ათიათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი ეთხოვება სკოლას, გამოდის დიდი ცხოვრების ასპარეზზე საუცხოო ოცნებებით, მომავლის გეგმებით. მათ მოელიან ქარხნები და ფაბრიკები, მინდვრები და პლანტაციები, უნივერსიტეტთა და ინსტიტუტთა აუდიტორიები.

ახალგაზრდებს აქვთ მხურვალე გული, მოუსვენარი სული: მათ გული მიუწევთ კომუნისტური მშენებლობის ყველაზე ძნელ, გადამწყვეტ უბნებისაკენ, იქითკენ, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა უნარიანი ხელი, მძიებელი გონება, რკინისებური ნებისყოფა. მისწრაფებით — რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანონ საყვარელ სამშობლოს, გახდნენ სახალხო მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები — გამსჭვალულია მოსკოვის ოლქის რუზის რაიონის ტუჩკოვოს სკოლისა და სტავროპოლის მხარის ჩერნოლესიეს № 17 საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელთა პატრიოტული ინიციატივა — საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მთელი კლასი წავიდეს სამუშაოდ სოფლის მეურნეობაში.

ამ შესანიშნავ ინიციატივას უკვე გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის მრავალი სკოლის კურსდამთავრებულნი. — გვსურს მთელი კლასი დავრჩეთ მშობლიურ კოლმეურნეობაში! — ასეთი სურვილი გამოთქვა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის მეათე კლასის 30 მოსწავლემ. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის; თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ბოგვისა და წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა. ქალაქ თბილისის 106-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს წავიდნენ სამუშაოდ წარმოებაში.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა პატრიოტული წამოწყება და მოუწოდა რესპუბლიკის სკოლების ყველა კურსდამთავრებულთ მიბაძონ მათ მაგალითს, ჩადგნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა სახელოვანი არმიის რიგებში, ღირსეული წვლილი შეიტანონ საბჭოთა ხალხის ბრძოლაში შვიდწლედის დავალებათა განხორციელებისათვის, სკკპ XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. (საქინფორმი).

### დაილოცოს თქვენი მარჯვენა!

## წლების მოიერიშე

არასოდეს არ დაავიწყდება ბაგრატ ხმიადაშვილს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოსვლის პირველი დღეები... მას გუშინდელივით ახსოვს, როგორ დატოვა სახლკარი, ორღობეები, დილის ბურუსში გახვეული ხეობა...

— რა ლამაზია, რა კარგია ჩემი სოფელი! — თქვა ბაგრატმა, თვალი რომ მოავლო მშობლიურ სოფელ ტირძნისს, ბაღების ქვემოთ ნახირი ხარბად ძოვდა ნამიან ბალახს...

— ეჰეი! ვინ მოდის? ფრთხილად! — გადმოსძახა მგზავრს კლდოვანი მაღლობიდან მწყემსმა. ამის თქმა იყო და მგლებზე დაგეშილი ნაგაზები ღრენითა და მუქარით დაეშვნენ... ახოვანი მწყემსიც ფერდობზე დაეშვა.

— საით გაგიწევია, — ხმიადაანთ ბიჭო? — მიახლოებისთანავე ჰკითხა მგზავრს.

— ქალაქად, მინდა ცოტა რამ შევისწავლო, — მორიდებით უპასუხა მეზობელს.

— ალალი შრომის კაცის გზა ყველგან ხსნილია! — თქვა მწყემსმა და ხმიადაანთ ბიჭს, მზით გარუჯულ ვაჟკაცს გზა მშვიდობისა უსურვა.

ეს იყო 1940 წლის გაზაფხულზე, როცა იგი თბილისის საორთქმავლო დეპოს უფროსის კაბინეტში მივიდა, ჰკითხეს, რა პროფესიას გსურთ დაეუფლოთო, ბაგრატმა უპასუხა:

— სახლში პირობა დავდე, რკინის ხარის ტარებას ვისწავლიო... წადილი აუსრულეს. ტირძნისელი ჭაბუკი მემანქანის თანაშემწედ დანიშნეს. დაძაბული შრომით, მალე ორთქლმავლის თვითეული ნაწილის ავი და კარგი შეისწავლა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ორთქლმავალმა, რომელზეც თვითონაც მუშაობდა, მცხეთა, გორი, ქარელი დატოვა, წიფის გვირაბში შეიჭრა და იმერეთის შესანიშნავ ხეობებს გასცდა...

მაგრამ დახეთ „უბედურებას", მორიგი რეისიდან დაბრუნებული მემანქანის თანაშემწე ბაგრატი დირექციაში გამოიძახეს, ურჩიეს ავადმყოფი ორთქლმავლის მკურნალთა რიგებში ჩადგომა, ზეინკლობა შესთავაზეს. — როგორც მირჩევთო, — მხოლოდ ეს უპასუხა.

„...ნაცნობი ორთქლმავლები ვეებერთელა სპილოებივით იდგნენ და ხვნეშოდნენ, თოვლის ფიფქი მათ გარშემო ლღვებოდა..., ბაგრატი აწევით საამქროსთან რომ მივიდა, გოლიათებული მედგა. ყური მიუგდო, არ ესიამოვნა, ორთქლმავლიდან ავადმყოფური სუთქვა რომ ისმოდა...

— რა დაგემართა, სარდიონ ჩემო, სად დაგიზიანდა ორთქლმავალი? — ჰკითხა ბაგრატმა იქვე მდგომ მემანქანეს. ეს სიტყვები არ ეჭაშნიკა სარდიონს, მაგრამ რა გაეწყობოდა, თავის ყოფილ მოწაფეს ბაგრატს ორთქლმავლის განკურნება სთხოვა. დეპოს უფროსმაც ეს მირჩიაო, დაუმატა მემანქანემ.

რომ იცოდეთ რა სიამაყე, რა სიხარული იგრძნო ხმიადაანთ ბიჭმა: მას უდიდესი საქმე — დაზიანებული ორთქლმავლის განკურნება, გადაჭანდობა ანდეს. ელვის სისწრაფით გაიძრო ხალათი, სამუშაო კოსტიუმი ჩაიცვა და ორთქლმავლის ქვეშ შეძვრა. ელექტროშემდუღებლის ხელსაწყო მოიმარჯვა, ტყვიამფრქვევივით ახმაურა. ბაგრატმა ერთ საათსა და ოც წუთში შეაკეთა ორთქლმავლის ნაწილი.

მას ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, სიტყვაძუნწია. ხშირად ერთი წინადადებით გამოხატავს მთელ ნაფიქრს. ამ გაზაფხულზე იგი დეპოელთა ხალხმრავალ მიტინგზე ვნახე. დინჯად ავიდა ტრიბუნაზე, მოლიმარი თვალებით გადახედა მეგობრებს — ზეინკლებს, მჭედლებს, მემანქანეებს, ინჟინრებს და წარმოთქვა:

— ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მომავალი XXII ისტორიული ყრილობის აღსანიშნავად 1983 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში მივცემ ქვეყანას პროდუქციას. ამ სიტყვებზე მქუხარე ოვაციამ შეარყია დეპოს კედლები, სახელმოხვეჭილმა ზეინკალმა ვლადიმერ ნიკოლაიშვილმა ადგილიდან მიაძახა:

— არც ჩვენ ჩამოგრჩებით!

ასე კარგად, ასე ბარაქიანად, როგორც ამ დღეებში, არასოდეს არ უმუშავნია ხმიადაშვილს.

— ოქროს ხელი აქვს, ვაჟკაცობაც მა-



ბაგრატ ხმიადაშვილი

გას ეთქმის, ყველა ნორმას გადააბიჯა, მომავალი წლების მოიერიშეა, — ლაპარაკობენ დეპოელები ბაგრატ ხმიადაშვილზე.

მართლაც, ჯერ არავის ახსოვს, რომ კომუნისტ ბაგრატ ხმიადაშვილს სიტყვა გაეტეხოს, არ შეესრულებინოს. მუდამ შვიდწლედის ზღუდეების დამპყრობთა წინა ხაზზეა, სიძნელეთა დაძლევაში ხედავს წინსვლის გზებს.

მაისის პირველ დღეებში ჩვენი დროის გმირმა სამშობლოს 1983 წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულება უპატაკა. გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: როგორც ყოველთვის, მისაბაძია!

წუთითაც არ ანელებს გმირულ შრომას, მისთვის ყოველი დღე მიზნიდველი და წარმტაცია. რიგითი საბჭოთა ადამიანი მთელი ენერგიით იბრძვის, რომ ალალი შრომით განამტკიცოს მშვიდობის, ბედნიერების ბურჯი — სოციალისტური სამშობლო.

იმ დღეს დეპოს უფროსს სერგო ოდილავაძეს გაუძნელდა ზეინკალ ბ. ხმიადაშვილის „კაბინეტში" შესვლა.

— რატომ შეწუხდით? — ჰკითხა ორთქლმავლის ქვაბში შესულ ს. ოდილავაძეს ბაგრატმა.

— სასწრაფო საქმეა, ბაქოელი სტუმარია „ავადმყოფით" მოსული! — იყო პასუხი.

ორთქლმავლის ქვაბიდან მზის სინათლეზე გამოვიდნენ. ენით აუწერელი იყო ბაგრატისა და უცხო სტუმრის შეხვედრა. ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაჰკოცნეს.

— ბიჭო, როგორ, საიდან? — ჰკითხა სტუმარს ხმიადაშვილმა.

— ხომ იცი დავალების ამბავი. თბილისში ჩამოველ, მაგრამ სწორედ აქ გამიხდა „რაში" ავად! — ღიმილით უპასუხა მან.

მეგობრებმა გაიხსენეს პირველი გაცნობის მძიმე დღეები, როცა ბაგრატმა, უფროს მემანქანესთან, ბაქოელ მამედ ზეინალოვთან, დღევანდელ მის სტუმართან ერთად — განსაკუთრებული დანიშნულების ეშელონი ჩრდილოეთ კავკასიაში, ფრონტისპირა ზონაში მიიყვანა...

ვერაგი მტერი კავკასიის კარიბჭეს აწყდებოდა, დაუვიწყარი, 1942 წლის სუსხიანი ზამთარი იდგა. ხან აქ, ხან იქ ყუმბარების კვამლით დამძიმებულ სივრცეში შხუილით აიჭრებოდნენ ფერად-ფერადი რაკეტები და მკრთალ სინათლეს ჰფენდნენ ჩანგრეულ შენობებს, გადამწვარ სოფლებს, კავკასიონის შევერცხლილ მთებს, დაუსრულებლად, გულშემზარავად გრუხუნებდა არტილერია, ნაღმსატყორცნები... ჰაერში თუ მიწაზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გრძელდებოდა...

— განა ოდესმე დამავიწყდება განვლილი დღეები? — ღიმილით დაასრულა სიტყვა ხმიადაშვილმა და ზეინალოვს მხარზე ხელი დაჰკრა: — სხვა, შენი პატარა ბიჭუნა, მე რომ გამაცანი ბაქოში, როგორ არის? ალბათ ახლა დიდი ვაჟკაცია...

— შვილიშვილიც მყავს! — აღტაცებით უპასუხა მეგობარმა.

— ღმერთმა გაგიხაროს! ახლა ჩემი ოჯახი ვნახოთ, — უთხრა ბაგრატმა და სახლში მიიპატიჟა. მალე მეგობრები ჩაპაევის ქუჩაზე მშვენიერ ორსართულიან სახლში შევიდნენ. ჩემი მარჯვენით ავაშენეო, კიბეზე ასვლისას უთხრა სტუმარს. ბაგრატის გოგონები ქეთინო და ნინო შეეგებნენ მათ.

როცა სუფრა გაიშალა და პირველი ჭიქა უნდა აეღოთ, ოთახში ტანმკვრივი ჭაბუკი შემოვიდა.

— გაიცანით, ჩემი ვაჟია, გურამი, — უთხრა ბაგრატმა.

— ჩემი ბიჭი პროფესიაში მეცილება, — კმაყოფილებით განაგრძობდა მამა. — მეჯიბრება კიდეც; რა დაგიმალო, ამ ორი დღის წინ, ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე მდგომმა გურამმა მაჯობა, დღიური ნორმა ოთხმაგად შეასრულა, მე კი იმ დღეს სამნახევარს მივაღწიე...

— გეტყობა, გული გწყდება, არა? — შეესიტყვა პატარა ნინო, — მამიკო, ხომ გაგიგონია: ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასაო...

ამ სიტყვებმა საერთო მხიარულება გამოიწვია. ლხინმა იმატა. მალე ტაშფანდურიც გაიმართა, ლაღობდა ხმიადაშვილების ოჯახი...

დილით, როცა სტუმარ-მასპინძელი ეზოში გამოვიდნენ, ბაგრატმა უამბო როგორი იყო ამ ოცი წლის წინათ თბილისის ეს კუთხე, ჩაპაევისა და მისი მახლობელი ქუჩების ისტორია მოუთხრო...

სახლი, რომელშიც თბილისის ლენინის რაისაბჭოს დეპუტატი ბაგრატ ხმიადაშვილი ცხოვრობს, მრისხანე ხევის (ასე ეძახდნენ ამ ადგილს ლოტკინის გორის მკვიდრნი) „გაქრობის" შემდეგ გაჩნდა. გაუვალი ხევის ნაცვლად ახლა აქ მშვენიერი საცხოვრებელი ბინები, ბაღები და ბაღჩებია...

სწავლასაც არ ივიწყებს — ჩემი გურამი, — განაგრძო საუბარი ბაგრატმა, — გადაწყვეტილი აქვს წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდეს, ინჟინერმშენებელი გახდეს. დიდი სურვილი აქვს მომავალში ქალაქის გამშვენიერების საკითხებზე იმუშაოს...

— შენ წადილი თქვი, თორემ ჩვენს დროში გამრჯე კაცის გზა ყოველთვის ნათელია, — მიუგო სტუმარმა.

საორთქმავლო დეპოში ყოველი მისვლა ბაგრატ ხმიადაშვილს სიამაყეს ჰგვრის. უხარია, რომ აქაური მამაცი ადამიანები გმირული შრომის მაგალითებს იძლევიან. აი თუნდაც ზეინკალი ვლადიმერ ნიკოლეიშვილი. ის XXII ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას და ყოველდღიურ ნორმას სამმაგად ასრულებს. განა მას ჩამორჩება სახელმოხვეჭილი ოსტატი შალვა ხიზანაშვილი ან მემანქანე ლავრენტი გურასპაშვილი! ვინ ჩამოთვლის მათ, ისინი აქ ასობით არიან!..

სწორედ ამ რიგითმა ადამიანებმა, ბაგრატ ხმიადაშვილმა და მისმა მეგობრებმა თბილისის საორთქმავლო დეპო ერთერთ მოწინავე საწარმოდ აქციეს ამიერკავკასიის რკინიგზაზე. აქ ფრიალებენ გარდამავალი წითელი დროშები...

კომუნისტური შრომის სახელოვანი ადამიანი ბაგრატ ხმიადაშვილი წუთითაც არ ანელებს აღებულ ტემპს, შვიდწლედის ახალ ზღუდეთა დაპყრობისათვის იბრძვის...

— ამას წინათ ოქტომბრის ქუჩაზე, — აღტაცებით გვიამბობს ხმიადაშვილი, — ჩვენი რესპუბლიკის დიდი სტუმარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მოგვესალმა, იგი ელმავალსამშენებლო ქარხანას ესტუმრა, ჩემს მეგობრებს ესაუბრა. არასოდეს არ დაგვავიწყდება ნ. ს. ხრუშჩოვის ბრძნული მითითებანი, ისინი ახალ ენერგიას გვმატებენ! კვლავაც მტკიცედ, მძლავრად ვივლით წინ!..

წინა კვირას ბაგრატ ხმიადაშვილი „თბილისის ზღვის" ნაპირას ვნახე. იგი გასულ გაზაფხულზე თავისი ხელით დარგულ მცენარეებს მიწას უფხვიერებდა.

— გული მეტკინება, აქ ერთი ნარგავიც რომ დაჭკნეს, — თქვა და წიწვიან ბუჩქს ხელი შეახო, მიუალერსა. ზღვიდან მონაბერმა გაზაფხულის ნიავმა პატარა ტყის ზოლი შეარხია, ახმაურდა გარინდული ნაპირი...

ჩვენი დროის გმირმა, მომავალი წლების მოიერიშემ ბაგრატ ხმიადაშვილმა თავისთვის ჩაილაპარაკა: — დალოცვილია გაღოცხლებული მიწა!

ღიახაც რომ დალოცვილია ამ უკვდავი მიწის ვაჟკაცთა მარჯვენაც!

აკ. გოცირიძე.

### 165 ათასი ტონა ჩაისათვის!

## მწვანე სიმდიდრე

ახლა დაძაბული შრომის დღეებია აჭარაში. თუმცა ჩაის ფოთოლი შარშანდელთან შედარებით წელს უფრო გვიან შემოვიდა, მაგრამ აჭარელ მეჩაიეებს სასაყვედურო მაინც არაფერი აქვთ. მაისში უხვად არის შემოსული ჩაის ნედლეული. აჭარაში ჩაის ძირითადი მწარმოებელი ქობულეთის რაიონია. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ათასობით მკრეფავი შეჰფენია ხავერდოვან ჩაის პლანტაციებს. მეჩაიეები როგორც იტყვიან, მზის ამოსვლას ასწრებენ. სადაც არ უნდა მიხვიდეთ — ჩაისუბნისა თუ ბობოყვათის, ხუცუბნისა თუ დაგვის, ქაქუთისა თუ კვირიკეს კოლმეურნეობებში ჭილობის ქუდიანი ქალები თავს დასტრიალებენ ჩაის ბუჩქებს.

გული სიამით გევსებათ, როცა ეცნობით მოწინავე ადამიანთა შრომით წარმატებებს. ბობოყვათელი სოციალისტური შრომის გმირი მაყვალა ჯინჭარაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ჩაისუბნელი ფიქრია ყურშუბაძე, ქაქუთელი ემინე ზაქარიაძე, ხუცუბნელი აკაკი ნურიძე, ხუსეინ გოგმაჩაძე და სხვა ნოვატორები დღეში 70-100-120 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ, შარშანდელთან შედარებით ყოველდღიურად 20-30 კილოგრამით მეტ ჩაის ფოთოლს იძლევიან.

ქობულეთელ მეჩაიეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რაიონში 26 მაისისათვის მოკრეფილი იყო 5.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. ეს კი შარშანდელ მაჩვენებელს თითქმის 1.200 ტონით აღემატება. მაის-ივნისის დავალების შესრულებამ 52 პროცენტს გადააჭარბა.

ამ წარმატებაში სერიოზული წვლილი შეაქვს ყველაზე ძველ და დიდ მეურნეობას — ჩაქვის საბჭოთა მეურნეობას. აქ გაიხარა, ფეხი მოიკიდა პირველმა ჩაის ბუჩქებმა, ჩაქვის მიწამ ამრავლა რევოლუციამდე ჩინეთიდან ჩამოტანილი ჩაი. ახლა კი ქართული ჩაის ჯიშები — № 1 და № 2, რომელიც გამოიყვანა პროფესორმა ქსენია ბახტაძემ, მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა. ამ ჯიშებს ამრავლებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ამ მეურნეობის წარსულსა და აწმყოზე, მომავალ პერსპექტივებზე გვესაუბრებოდნენ მეურნეობის დირექტორი ლევან წულუკიძე, პარტბიუროს მდივანი გრიგოლ ტიკარაძე, და ზოგიერთ ფაქტიურ მონაცემებს ვინიშნავდით. ზოგჯერ საჭირო და აუცილებელია ციფრის მოშველიება. ეს მეურნეობა წელს სამშობლოს მისცემს 2.460 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. მან გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს რაიონში ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში. მაის-ივნისის დავალებით მეურნეობაში უნდა მოიკრიფოს 1.038 ტონა ჩაის ფოთოლი. 25 მაისისათვის მოკრეფილი იყო შვიდას ტონაზე მეტი.

ამ მეურნეობის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ ყოველდღიურად ჩაის კრეფაზე 1.300 კაცი და ზოგჯერ უფრო მეტიც მუშაობს. ჩაქველთა დასახმარებლად მოსულან მწვანე კონცხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეები, ციხისძირის ციტრუსების მეურნეობის მუშაკები. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ჩაქვში სამუშაოდ მოდიან ჩვენი ქვეყნის შორეული კუთხეებიდან. აქ მუშაობს ოცზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი, მათ შორის არიან რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ფინელები, მოლდაველები, ესტონელები, უდმურტელები, აზერბაიჯანელები, სომხები...

ჩაქვში დაიბადა და ამჟამადაც აქ მუშაობს ჩინელი მიხეილ კო უ-ერი. იგი მექანიკოსია. მისი და თამარი აქვე ქართველზეა გათხოვილი, ხოლო უფროსი ძმა ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში მათემატიკის მასწავლებელია.

მეურნეობის ექვს აგროუბანსა და მეჩაიეობის ოცდარვა ბრიგადაში გაცხარებული მუშაობაა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან მეტი ჩაისათვის ბრძოლაში. მაგრამ ყველაზე უფრო დაწინაურდნენ ის ბრიგადები, რომლებსაც ი. გოგიტიძე, უ. ჯვარშეიშვილი, ვ. კალანდაძე, გ. დიასამიძე, ა. გალკინა და ა. პაპიკიანი ხელმძღვანელობენ. ეს ბრიგადები მაის-ივნისის დავალებებს 5 ივნისისათვის გაანაღდებენ.

როგორც ჩანს, წარმატებები თვალსაჩინოა. მაგრამ არის ჩრდილოვანი მხარეები. ისეთი ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსწორება აუცილებელია. სეზონის დაწყებიდან უკვე თვე გადის, და მკრეფავებს არა აქვთ სპეცტანსაცმელი. ასეთი ტანსაცმელი 1.200 ცალზე მეტია საჭირო და დღემდე არ ჩანს...

არის სხვა სახის ნაკლოვანებაც. მაისში უხვად არის საკრეფად პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი. ზოგიერთ ბრიგადაში ვერ უზრუნველყვეს ყოველდღიური განუწყვეტელი კრეფა ყველა ნაკვეთზე. ამის გამო საკრეფი ფოთოლი უხეშდება და, ცხადია, ამით ტონობით ნედლეული იკარგება. ამას ისიც ემატება, რომ ზოგიერთი მკრეფავი არღვევს კრეფის წესებს. ასეთი მდგომარეობა იყო შემოწმების დროს 23 მაისს მეთექვსმეტე, ოცდამეშვიდე, ოცდამესამე, მეცხრე და სხვა ბრიგადებში.

მეურნეობა მოკრეფილ ჩაის ნედლეულს აბარებს ჩაქვის პირველ ფაბრიკას. განსაკუთრებით საღამოს 5 საათიდან დიდძალი ჩაის ფოთოლი მოდის. იმართება რიგები, და მიღება გრძელდება ღამის 3-4 საათამდე. ზოგიერთ დღეებში ჩაით დატვირთული მანქანები რიგის მოლოდინში ექვს საათზე მეტ ხანს იცდიან. ასეთი დარღვევები უნდა გამოსწორდეს.

მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას საავიტაციო-მასობრივი მუშაობა. მეურნეობაში ჟურნალ-გაზეთებს დაგვიანებით იღებენ, ხოლო უშუალოდ პლანტაციებში გაზეთები იშვიათად მიაქვთ.

რამდენადაც მალე გამოასწორებენ ქობულეთელები ამ ნაკლოვანებებს, იმდენად კიდევ უფრო გაძლიერდება ჩაის კრეფის ტემპი.

ნ. ჯანჯღავა,
რ. გორგაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.



## მკითხველები გვწერენ

დიდ უხერხულობას ქმნიდა უხიდობა მდინარე ღვანღვანაზე, რომლის ადიდების დროს მთელი რიგი სოფლების მოსახლეობა მოწყვეტილი რჩებოდა. ამჟამად ამ მდინარეზე აგებულია ადგილობრივი მნიშვნელობის სამი ხიდი, რომლებიც ემსახურება ტყიბულის რაიონის სოფლების ჯვარისის, ოჯოლას, ლაშის, ხორჩანის, კისორეთის და სხვათა მცხოვრებლებს.

ს. პაპიევი.

ლამაზი სასურსათო პავილიონი გაიხსნა ამ დღეებში სადგურ ხაშურის პერონზე. ახალი პავილიონის აგება დამთავრდა პლეხანოვის ქუჩაზეც. სოფელ ვაყაში სპეციალურად აგებულ შენობაში მოთავსდა მაღაზია, სადაც იყიდება შეკერილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა სამრეწველო საქონელი. ამას წინათ სურამში გაიხსნა ავეჯის მაღაზია, ზინდისში შენდება სასურსათო მაღაზიის შენობა.

დ. ფარემუზოვი.

საქართველოს დიდი ეროვნული დღესასწაულის დღეებში დუშეთს კიდევ ერთი დიდი შენობა შეემატა. ეს არის 60-ადგილიანი ახალი სასტუმრო.

ვ. ხუცურაული.

გაზაფხულზე ლენინგორის რაიონის სოფელ იკოთის მცხოვრებმა ახალგაზრდა მონადირემ ილია გიგაურმა და ცნობილმა მონადირემ ალექსანდრე გელაშვილმა საბეგურის ტყეში სამი დათვი ერთად მოკლეს. საერთოდ ი. გიგაურმა გასულ ზამთარში თერთმეტი დათვი მოკლა.

მ. გიგაური.

## ახალი მოსავლის გოსტნეულის კონსერვები

ქუთაისი. (საქ. კორ.). საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხუთი თვის დავალება და გეგმის ზევით გამოუშვა 350.000 ქილა კონსერვი.

ქარხანამ დაიწყო ახალი მოსავლის — მწვანე ბარდის გადამუშავება. ბარდის უხვმა მოსავალმა, რასაც წყალტუბოს, წულუკიძისა და თერჯოლის რაიონების კოლმეურნეობები იღებენ, საშუალება მისცა საწარმოს ჯერ კიდევ 22 მაისისათვის გამოეშვა ნახევარი მილიონი ქილა მწვანე ბარდის კონსერვი, რითაც უზრუნველყო წლიური დავალების შესრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს აღელვებს ანგოლას ბედი

## კონგოს ხალხი განაჩენს გამოუტანს მოღალატეებს

## მდგომარეობა ანგოლაში

### საბჭოთა მთავრობის განცხადება

**საბჭოთა** მთავრობამ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ ბოლო დროს ხალხთა ყურადღებას სულ უფრო იპყრობს ანგოლის მდგომარეობა, რომლის მოსახლეობის წინააღმდეგ პორტუგალიელმა კოლონიზატორებმა სასტიკი კოლონიური ომი გააჩაღეს.

ანგოლის, ერთ-ერთი იმ ქვეყნის ხალხი, რომელიც აფრიკაში ჯერ კიდევ იმყოფება კოლონიის მდგომარეობაში, იბრძვის დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების იმ პრინციპების განხორციელებისათვის თავის ქვეყანაში, რომლებიც გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1960 წლის 14 დეკემბერს მიღებულ დეკლარაციაში კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ განსაკუთრებული გადაწყვეტილებით დაადასტურა შემდეგში, რომ ეს დეკლარაცია პირდაპირ ეხება ანგოლას, და მოუწოდა მიენიჭოს მას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

შემდეგ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ფაშისტი დიქტატორის სალაზარის მთავრობა ახლა აშკარად ასრულებს საერთაშორისო დამნაშავისა და ავაზაკის როლს, რომელიც არ უწევს ანგარიშს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, ნაფლეთებად აქცევს ამ გადაწყვეტილებებს.

ახასიათებს რა უუფლებობას, სასტიკ ექსპლოატაციას, შიმშილსა და სიღატაკეს ანგოლაში, ისე როგორც პორტუგალიის სხვა კოლონიებში, საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ ანგოლის აფრიკელი მოსახლეობა მოკლებულია ელემენტარულ სამოქალაქო უფლებებს, სრულიად ჩამოშორებულია თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობას.

საბჭოთა მთავრობა, ხაზს უსვამს რა, რომ პორტუგალიის მმართველმა წრეებმა ფაშისტური ტერორისა და ძალადობის რეჟიმი დაამყარეს თვით პორტუგალიაში, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ სახელმწიფოები, რომლებიც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალ პრინციპებს, ვერ შეურიგდებიან უკანონობას პორტუგალიის ანგოლასა და სხვა კოლონიებში.

იბადება კითხვა, საერთოდ რატომ ბედავენ პორტუგალიელი კოლონიზატორები იმოქმედონ სახელმწიფოთა და ხალხთა მოთხოვნების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ. საქმე, როგორც ჩანს, აიხსნება იმით, რომ კოლონიზატორულ და ფაშისტურ პორტუგალიას მჭიდრო კავშირი აქვს უცხოეთის მსხვილ მონოპოლიებთან, რომლებიც ფაქტიურად ბატონობენ პორტუგალიისა და სხვა სახელმწიფოთა აფრიკის კოლონიებში და თვით პორტუგალიაშიც.

ანგოლაში პორტუგალიის ბოროტმოქმედებებთან დაკავშირებით ხალხთა გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა საქციელი. ფაქტია ის, რომ, როცა ანგოლის მდგომარეობის საკითხს იხილავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ბევრი მათგანი იძულებული გახდა გამიჯნოდა პორტუგალიას, ზოგიერთმა კი ანგოლაში მისი მოქმედების დაგმობასაც კი მისცა ხმა, ხოლო როცა, რამდენიმე კვირის შემდეგ, ოსლოში დახურულ სხდომებზე შეიკრიბა ნატოს საბჭოს სესია, იმავე სახელმწიფოებმა არა თუ არაფერი ილონეს, რათა აელაგმათ პორტუგალია, რომელიც ავაზაკობას ეწევა, არამედ, არსებითად, წაახალისეს იგი კოლონიური ომის გაძლიერებისათვის.

საბჭოთა მთავრობას, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, მიაჩნია, რომ ყველა სახელმწიფოსა და ხალხის ვალია აიძულონ პორტუგალია ბოლო მოუღოს ავაზაკურ კოლონიურ ომს ანგოლაში და შეასრულოს მოთხოვნილებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციისა კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. შეუძლებელია არ ვხედავდეთ, რომ პორტუგალიის მოქმედება ანგოლაში სერიოზულ საფრთხეს უქმნის აფრიკას, და არა მარტო აფრიკის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი, ისევე როგორც ჩაგრულ ხალხთა ყველა ნამდვილი მეგობარი, გულგრილად როდი მოეკიდება ანგოლის ბედს. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ანგოლის ხალხი მარტო როდია. მის მხარეზეა საბჭოთა ხალხის, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის სიმპათია და ყოველმხრივი მხარდაჭერა. საბჭოთა ხალხი მხურვალედ უსურვებს ანგოლის ხალხს გამარჯვებას მის გმირულ ბრძოლაში კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებისა და ეროვნული აღორძინებისათვის.

## კომუნიკე

### საომარი მოქმედების შესახებ ლაოსში დაზავების დაწყებამდე

**ჰანოი**, 26 მაისი. (საქდესი). რადიო „ლაოსის ხმამ“ გამოაქვეყნა პატრიოტული ძალების ოფიციალური კომუნიკე თუ როგორ მიმდინარეობდა საომარი მოქმედება ლაოსში 1960 წლის 9 აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალებიდან, რომელსაც სათავეში ედგა ბრიგადის გენერალი კონგ ლე, ცეცხლის შეწყვეტამდე 1961 წლის 3 მაისამდე.

კომუნიკეს მიხედვით ამ პერიოდში დახოცილი და ტყვედ წაყვანილია 7.068 მეამბოხე. ამ რიცხვში შედიან ნოსავან-ბუნ უმის არმიის ოფიცრები და შეერთებული შტატების, ტაილანდის, სამხრეთ ვიეტნამის, ტაივანისა და ფილიპინების მრჩეველი ოფიცრები.

მთავრობის არმიამ და ნეო ლაო ჰაკ სატის შეიარაღებულმა ძალებმა მთლიანად გაათავისუფლეს სამი პროვინცია: კონგ სალი, სამ-ნეა და სიენგ-კუანგი, ორი პროვინციის ლუან-პრაბანისა და ჰამუანის მეტი ნაწილი, გარდა ქალაქების ლუან-პრაბანისა და ტაკეკისა, აგრეთვე სხვა პროვინციების ბევრი რაიონი.

განთავისუფლებულია ლაოსის ტერიტორიის 60 პროცენტი, სულ 7.226 სოფელი, რომელთა მოსახლეობა მილიონ კაცს აღემატება.

მწყობრიდან გამოყვანილია მოწინააღმდეგის რეგულარული ჯარების 19 ბატალიონი, რომელთა მეტწილს უშუალოდ სარდლობდნენ ამერიკელი და ტაილანდელი ოფიცრები და 40 ასეულზე მეტი სადესანტო-სადივერსიო ჯარები. მეამბოხეთა ბევრი ჯარისკაცი პატრიოტული ძალების მხარეზე გადავიდა. ჩამოგდებულია მტრის სხვადასხვა ტიპის 12 თვითმფრინავი, რომელთაგან მეტ წილს პილოტობდნენ ამერიკელი, ტაილანდელი და ჩანკაიშელთა მფრინავები. ხელთ იგდეს სამხედრო ნადავლი.

## საირუს იტონი: განიარაღება მსოფლიოს დიადი იმედია

**სოფია**, 26 მაისი. (საქდესი). მსოფლიოს დიადი იმედია საყოველთაო განიარაღება და ყველა სახეობის იარაღის სრული ლიკვიდაცია, როგორც ამას მოითხოვს ბ-ნი ხრუშჩოვი, განაცხადა ბულგარეთში მყოფმა ამერიკელმა მრეწველმა და საზოგადო მოღვაწემ საირუს იტონმა, უპასუხა რა გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ „რედაქციის კითხვებზე. მე მიმაჩნია, თქვა მან, რომ ბ-ნ ხრუშჩოვის წინადადებები ყველაზე ბრძნულია და რომ ქვეყანა, რომელსაც უნდა განუმარტონ ყოველივე ეს, არის ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ბევრი ადამიანი შეცდომაშია შეყვანილი სოციალისტურ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

შეეხო რა თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს, საირუს იტონმა გაზეთისადმი თავის ინტერვიუში, რომელიც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტომ გადასცა, განაცხადა, კერძოდ, რომ, მისი აზრით, ამერიკის პოლიტიკა დიდად მცდარი იყო კუბასა და ლაოსში და რომ ამერიკის საზოგადოებრიობა თანდათან ხვდება, თუ რა უგუნური იყო ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკა ამ ორი ქვეყნის მიმართ. მე ვფიქრობ, თქვა საირუს იტონმა, რომ ახლა ჩვენ გვესმის, თუ რა სერიოზული შეცდომები დავუშვით, და მიმაჩნია, რომ ამ შეცდომების აღიარება დაგვეხმარება უფრო ბრძნული და უფრო მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა ვაწარმოოთ.

ვენაში ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. კენედის მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით თვალსაჩინო ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ განაცხადა:

მე ოპტიმისტი ვარ და იმედი მაქვს, რომ ამ შეხვედრას კარგი შედეგი მოჰყვება. პრეზიდენტი კენედი ახალგაზრდა კაცია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ იგი გამოიჩენს გაგებასა და სურვილს ისწავლოს უფრო გამოცდილ სახელმწიფო მოღვაწეებისაგან. ბ-ნი ხრუშჩოვი მე მიმაჩნია მეტად ბრძენ და ნიჭიერ ადამიანად და მწამს, რომ, როცა ბ-ნი კენედი მოელაპარაკება ბ-ნ ხრუშჩოვს, იგი დარწმუნდება მის გულწრფელობაში, რაც მე სავსებით მწამს. იმედი მაქვს აგრეთვე, რომ ბ-ნი კენედი მიხვდება, რომ საჭიროა გააერთიანოს თავისი ღონისძიებანი ბ-ნ ხრუშჩოვთან მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

შემდეგ საირუს იტონი შეეხო ბულგარეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობებს.



**ნორვეგიულმა** გაზეთმა „მორგენპოსტენმა“ გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომლებიც გვიჩვენებენ სამოქალაქო თავდაცვის ეგრეთწოდებულ სწავლებას, რაც მიმდინარე წლის მაისის დამდეგს ოსლოში მოეწყო.

— ატომური ბომბი დედაქალაქში „აფეთქდა“. ქარხანა „სპიგერვერკეტი“ ატომური ნგრევის გარე რაიონშია, სამოცზე მეტი „დაჭრილი“ წევს გზებზე, „ჩამოქცეულ“ ლითონის მძიმე კოჭებს ქვეშ“. ხალხი კი ომის წინააღმდეგია და ასეთ ექსპერიმენტებს „შეშლილის ბოდვას“ უწოდებს.

## დიდი მოლოდინი

### ვენაში შეხვედრის წინ

**მსოფლიოს** გულისყური ახლა პატარა ავსტრიაზეა მიპყრობილი. იქ, ვენაში, 3-4 ივნისს ერთმანეთს შეხვდებიან ნ. ს. ხრუშჩოვი და ჯონ ფიცჯერალდ კენედი. ცნობილია, რომ ვენაში ოფიციალური მოლაპარაკება არ გაიმართება. ამ საუკუნის ორი ყველაზე დიდი სახელმწიფოს მეთაურები პირისპირ შეხვდებიან ერთმანეთს და მიმდინარე საერთაშორისო ვითარების შესახებ მოითათბირებენ, თავიანთ პოზიციებს ნათელყოფენ.

სოციალისტური სამყაროს ყველაზე დიდი სახელმწიფოს მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის პოზიცია აშკარა და გარკვეულია. ჩვენი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა მრავალგზის იყო აღიარებული. ყოველი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა მისი საშინაო ცხოვრებით არის განპირობებული. საბჭოთა კავშირს, მთელ სოციალისტურ სამყაროს აურაცხელი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი. ჩვენი ქვეყანა დიდი და მდიდარია. მას ბუნებამ არაფერი მოაკლო — არც მიწა და არც მიწისეული. საბჭოთა კავშირის ტერიტორია უსაზღვროა, ის წყნარი ოკეანიდან ბალტიის ზღვამდეა გადაჭიმული. ჩვენ სხვისი არაფერი გვინდა. არავითარი სადავო არ არსებობს ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებსა და სხვა სახელმწიფოთა, მით უმეტეს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს შორის.

ჩვენ კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობას ვაწარმოებთ, ახალი საზოგადოება ფრთებს ისხამს, ძლიერდება, წინ მიდის. ახალი საზოგადოებრივი წყობის მშენებელთა სანუკვარი ოცნებაა მშვიდობა, რადგან სწორედ მშვიდობის პირობებში არის შესაძლებელი ამ ახალი წყობის ჩქარი ტემპებით შენება. ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის ეს ძირეული ისტორიული ინტერესები შეერწყმის ყველა ხალხის ინტერესებს, მშვიდობის ალტერნატივა ჩვენს დროში საშინელი დამანგრეველი ომია. ომი ტრაგედიაა, რომლის მთავარი მონაწილე ხალხია. მის ზურგზე გადადის ომის საშინელება. ისტორიულმა გამოცდილებამ ბევრზე უკეთ ჩვენ შეგვაცნობინა ეს მწარე ჭეშმარიტება.

როგორია ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია? ამერიკის შეერთებული შტატებიც უძლიერესი და უმდიდრესი ქვეყანაა. მისი სიმდიდრე და სიძლიერე ამერიკის ნიჭიერმა, შრომისმოყვარე, გამჭრიახი გონების ხალხმა შექმნა. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიული განვითარება მისი გეოგრაფიული მდებარეობით, და სხვა გარემოებათა გამო, მკვეთრად განსხვავდებოდა სხვა კონტინენტებზე წარმოქმნილ და განვითარებულ სახელმწიფოთა ისტორიული ბედისაგან. ჩრდილოეთი ამერიკა იმ კუნძულს ჰგავდა, რომელიც დიდ ოკეანეში განკერძოებულად დგას და რომელსაც ბობოქარი ოკეანის ზვირთები ბევრს ვერაფერს ვნებენ. ასე იყო წარსულში და ამიტომ მიაღწიეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეკონომიური ცხოვრების გარკვეულ მაღალ დონეს.

ახლა სხვა ვითარებაა. იზოლაციონიზმის დრო წავიდა. ჩრდილოეთი ამერიკა უნდა მიეჩვიოს იცხოვროს ხალხთა კოოპერაციაში, როგორც თანასწორუფლებიანმა პარტნიორმა და არა მბრძანებელმა და პატრონმა. აი ეს ელემენტარული ჭეშმარიტება. ვერ იქნა და ვერ შეიგნო ჩრდილოეთ ამერიკის დიდმა ბიზნესმა და მისი სახელმწიფოს ადმინისტრაციამ. დიდი ბიზნესი იზოლაციონიზმის პოლიტიკას ტოვებს, მაგრამ სურს თავისი თავი მსოფლიოს მესიად გამოაცხადოს. ჯ. კენედი განათლებული კაცია, მან ალბათ იცის, რომ ახლა მესიანიზმიც ანაქრონიზმია. მესიანიზმი მონათმფლობელური და ფეოდალური წყობის დროის სახელმწიფოების დაპყრობითი პოლიტიკის იდეოლოგიური ნიღაბი იყო. ახლა სულ სხვა დროა. ხალხები გათვითცნობიერდნენ, შეიგნეს თავიანთი ძალა, თავიანთი ბედი და ხვედრი. შეერთებული შტატების კაპიტალიზმს არავითარი საგარეო ძალა არ ემუქრება. მას ემუქრება ისტორიის განვითარების ულმობელი ობიექტური კანონები, ეს კანონები კი იმ საზოგადოების წიაღში არიან და იქ მოქმედებენ.

მსოფლიოს ჟანდარმობა, უძველესი დროც რომ არ გავიხსენოთ, არც ნაპოლეონს გამოუვიდა, არც ჩემბერლენებს და როდსებს, არც რომანოვებს, არც უბადრუკ ჰიტლერს და მის სულიერ მამას მუსოლინის. არ გამოუვიდათ ძველად, მით უმეტეს ასეთი რამ არავის გამოუვა ახალ დროში.

ხალხები იმედს გამოთქვამენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს მეთაური, მისი ადმინისტრაცია, ის ფენები, რომელთა ინტერესებს ისინი გამოხატავენ, შეეცდებიან თავიანთი საგარეო პოლიტიკა შეუფარდონ მსოფლიოს ამ ახალ ვითარებას და მიიღებენ ჩვენი დროის სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულების ერთადერთ შესაძლებელ პოლიტიკას, სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური წყობის სახელმწიფოთა თანაარსებობის პრინციპს და ამ საფუძველზე შეეცდებიან გადაწყვიტონ მრავალი რთული და დახლართული პრობლემა, რომლებიც ჩვენი თაობის წინაშე დააყენა ისტორიამ.

### ევიან-ლე-ბენი და ჟენევა

**როგორც** იქნა დაიწყო საფრანგეთისა და მებრძოლი ალჟირის მოლაპარაკება ევიან-ლე-ბენში. გზა ევიანისაკენ ეკლიანი იყო. ეს გზა ათასობით ალჟირელი პატრიოტის სისხლით არის გაჟღენთილი და მრავალი ფრანგის ცრემლით მორწყული. ალჟირი ყველაზე ნათელი მაგალითია, თუ რაოდენ უგუნურია მეოცე საუკუნეში მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკის წარმოება. ევროპის კონტინენტი, კაპიტალიზმის ყველაზე განვითარებულ მეტროპოლიის მცხოვრებნი წარსულში სისხლითა და მახვილით იპყრობდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებს.

თავისუფლების ზარი, რომელიც დიდმა ოქტომბერმა ჩამოკრა, მთელ მსოფლიოს მოედო და ხალხები სალათას ძილისაგან გამოაღვიძა. დადგა კოლონიალიზმის აღსასრულის ჟამი.

საფრანგეთის დიდი კაპიტალისტური მონოპოლიებისათვის ეს ახალი ვითარება ამ რამდენიმე ხნის წინათ სრულიად შეუცნობელი იყო. ხუთიოდე წლის წინათ ისინი ალჟირის გეოგრაფიულ არსებობასაც კი უარყოფდნენ. ალჟირი საფრანგეთიაო, ის კონტინენტის გაგრძელებააო. მომდევნო წლებში ცხოვრებამ ისინი აიძულა დაეწყოთ ლაპარაკი ფრანგულ ალჟირზე და ბოლო დროს ალჟირელი ხალხის თავდადებული ბრძოლის შედეგად გენერალ დე-გოლს ისღა დარჩენოდა ეთქვა, რომ ფრანგებმა ალჟირის თვითგამორკვევის უფლება უნდა აღიარონ. ცნობილია, რომ უფლება ერთია, მისი განხორციელება კი სხვა. რა პირობებში და როგორ უნდა განხორციელდეს ეს უფლება, ამაზეა ახლა ევიან-ლე-ბენში ცხა-ბაასი და გაცხარებული კამათი.

ევიან-ლე-ბენში მოთათბირე ორი მხარე ალჟირის მომავალ სტატუსს სულ სხვადასხვა პოზიციებიდან განიხილავს. ერთადერთი შესაძლებელი, სწორი და მართებული პოზიცია მებრძოლი ალჟირის წარმომადგენლებს უჭირავთ. ისინი სამართლიანად აღიარებენ, რომ პირველ რიგში ალჟირს უნდა მიეცეს სრული დამოუკიდებლობა, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოლაპარაკება ფრანგებთან, თუ რა კავშირს დაამყარებს ალჟირი საფრანგეთთანო. მებრძოლი ალჟირის წარმომადგენლებს კარგად ესმით ალჟირის როლი საფრანგეთისათვის. ალჟირში სახლობენ ბევრი ეროვნული უმცირესობა, იქაური ძველთაძველი მკვიდრნი—ბერბერები, ორ მილიონამდე ფრანგი და სხვები. ცხადია, დამოუკიდებელმა ალჟირის სახელმწიფომ ამ ვითარებას ანგარიში უნდა გაუწიოს და ეროვნული საკითხი იქ სათანადოდ მოაგვაროს. მას დასჭირდება აგრეთვე ალჟირისა და საფრანგეთის ეკონომიკის კოოპერაციის მოგვარებაც, მაგრამ ეს უკვე თავისუფალი ალჟირის ხელისუფალთა და საფრანგეთის მთავრობის შეთანხმების საფუძველზე მოხდება.

აქამდე ასე იყო ცნობილი, რომ საჰარის უდაბნო ალჟირის განუყრელი ნაწილია. მას შემდეგ, რაც იქ ნავთობის დიდი საბადოები აღმოჩნდა, საფრანგეთის ხელისუფალთ სურთ აქაც შეიტანონ ცვლილება გეოგრაფიაში. საჰარა ალჟირის ნაწილი არ არისო, საჰარის პრობლემა დამოუკიდებლად უნდა გადაწყდესო, გაიძახიან კაპიტალისტური მონოპოლიების ინტერესთა გამომხატველი წრეები და საფრანგეთის მთავრობა. ერთი სიტყვით, ევიენ-ლე-ბენში ბევრი თავსამტვრევი საკითხი წამოიჭრება, მაგრამ როგორიც უნდა იყოს ამ საკითხების სირთულე, ახლა თუ უფრო გვიან, ალჟირი დამოუკიდებლობას მოიპოვებს, და თუ ევიან-ლე-ბენის მოლაპარაკება ამას ხელს შეუწყობს, ხალხთა მოლოდინი გამართლებული იქნება.

ევიან-ლე-ბენი ლემანის, ჟენევის ტბის ერთ მხარეზე მდებარეობს. ამ პატარა ქალაქს ჟენევა ორმოცდაათი კილომეტრით არის დაშორებული. იქ კი, შვეიცარიის ამ ცნობილ ქალაქში, მიმდინარეობს დიდი მნიშვნელობის მეორე თათბირი, რომელმაც უნდა განსაზღვროს აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე პატარა სახელმწიფოს ლაოსის მომავალი. ლაოსის ხალხიც იარაღით ხელში იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის, თავისუფალი, ნეიტრალური, ყოველგვარ სამხედრო კავშირებს გარეშე მყოფი სახელმწიფოსათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალნი ლაოსის საშინაო საქმეებში რომ არ ჩარეულიყვნენ და მხარი არ დაეჭირათ კომპრადორული, ეროვნულ ინტერესთა მოღალატე წრეებისათვის, ლაოსელი ხალხის ეს ოცნება ახლა უკვე განხორციელებული იქნებოდა. ამერიკელებმა სცადეს იქაც უკუღმა დაეტრიალებინათ ისტორიის ჩარხი. ეს ცდა ფუჭი და უშედეგო აღმოჩნდა. შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ლაოსში ისეთივე მარცხი განიცადა, როგორიც კუბაში. თოთხმეტი სახელმწიფოს წარმომადგენელთა ჟენევის თათბირმა უნდა გაამართლოს ლაოსელი და სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხების იმედები და დაამყაროს ამ პატარა სახელმწიფოში მშვიდობა და წესიერება. ამ მოლოდინით შესცქერის ახლა მთელი მსოფლიო ჟენევას.

**ვლ. მაჟავარიანი.**

## ი. გაგარინი ბულგარეთიდან გამოემგზავრა

**სოფია**, 27 მაისი. (საქდესი). დღეს ბულგარეთში ხუთი დღის ვიზიტის შემდეგ აქედან სამშობლოში გაფრინდა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ი. ა. გაგარინი.

აეროდრომზე ი. ა. გაგარინი გააცილეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა. აეროდრომზე შეიკრიბა სოფიის ათასობით მცხოვრები, რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ კოსმონავტს და უსურვეს მშვიდობით მგზავრობა.

### საერთაშორისო ცხოვრება

## მოღალატეთა პოლიტიკა განწირულია

**სტენლივილი**, 26 მაისი. საქდესის კორესპონდენტი გ. ფედიაშინი იუწყება:

თერთმეტი თვეა გრძელდება მძიმე კრიზისი, რომელიც კონგოს რესპუბლიკას თავს მოახვია დასავლეთის იმპერიალიზმმა. მაგრამ ბელგიისა და სხვა კოლონიალისტური წრეების ცდებს—დაეჩოქებინათ კონგოელი ხალხი და გაეთიშათ კონგოს ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალების ერთიანობა, წარმატება არ მოჰყოლია. სულ უფრო მეტ კონგოელ პოლიტიკურ მოღვაწეს, პარლამენტარებს ესმით, თუ რა მოჰყვება ერთი მუჭა მოღალატეთა პოლიტიკას, რომელნიც თავიანთი ბატონების საამებლად ცდილობენ დაანაწილონ რესპუბლიკა და შექმნან წინანდელი წესწყობილების აღორძინების პირობები.

მარიონეტების გამთიშველი პოლიტიკა განწირულია ჩასაფუშავად. ეს გამოირკვა ტანანარივის კონფერენციის ჟამთავრებისთანავე, რომელსაც სამართლიანად უწოდეს „მკვლელთა თავყრილობა“. ჯერ მელანი არ შეშრობოდა ყოველ ძალას მოკლებულ რეზოლუციებს, რომ გამთიშველთა ბანაკში კინკლაობა დაიწყო—სასწრაფოდ მოიწვიეს ახალი თათბირი. მაგრამ მისი მიზანი ძველი დარჩა — გათიშვა. შეიგნეს რა, თუ რამდენად შორს შეტოპეს დასავლეთის წინაშე ლაქიურ მაამებლობაში, „თათბირის“ მონაწილეებმა კასავუბუმ, ბომბოკომ, კალონჯიმ და სხვებმა, რათა გაემართლებინათ თავი კონგოელი ხალხის თვალში და აეცილებინათ მისი სამართლიანი რისხვა იმ დანაშაულთა გამო, რომელთა უშუალო მონაწილენიც თვითონ იყვნენ, დააპატიმრეს იმპერიალისტების ერთ-ერთი ყველაზე ერთგული ლაქია და თავიანთი თანამონაწილე ჩომბე. მაგრამ ხალხმა მალე გამოიცნო მათი ყალბი მანევრი. ახლა სტენლივილში კარგად იცნობენ მათს ნამდვილ განზრახვებს. აი რას წერს ამის თაობაზე გაზეთი „უხურუ“:

„ხუთი ჩვენი სამხედრო პირი, რომელნიც კოკიავილში იყვნენ, მოწმობენ, რომ ლეოპოლდვილის მთავრობის ხელმძღვანელებმა დიდი ფული შესთავაზეს მათ, თუ დააპატიმრებდნენ ყველა ლუმუმბისტ ხელმძღვანელს და პირველ რიგში ანტუან გიზენგას, გენერალ ლუნდულას, შინაგან საქმეთა მინისტრს კრისტოფ გბენიეს, ახალგაზრდათა ორგანიზაციის ხელმძღვანელს ბერნარ სალუმას, პროვინციის მთავრობის თავმჯდომარეს მანზიკალს და ზოგიერთ სხვას“.

დღეს კონგოელი ხალხი ეძებს გაჭიანურებული კრიზისის მშვიდობიან გადაწყვეტას. კონგოს პრობლემის ასეთი გადაჭრისათვის ბრძოლას სათავეში უდგას კანონიერი მთავრობა ანტუან გიზენგას მეთაურობით და პარლამენტის დეპუტატთა დიდი ჯგუფი. კონგოელი ხალხის ინტერესების გულწრფელ დამცველებს კრიზისის გადაჭრის ერთადერთ სწორ გზად მიაჩნიათ ის, რომ რაც შეიძლება მალე მოიწვიონ კონგოელი ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი.

ამას წინათ სტენლივილში გაიმართა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილის მიდიბუროს პრეს-კონფერენცია. მიდიბურომ აღნიშნა, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტრები, რომლებმაც თავი დასავლეთს მიჰყიდეს, ყოველთვის ცდილობდნენ შეემცირებინათ როლი რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოსი, რომელიც ხალხმა აირჩია და ამ მიზნით ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ხელი შეეშალათ მისი საქმიანობისთვის და განაცხადა, რომ კანონიერი მთავრობის გადაწყვეტილებას პარლამენტის მოწვევის შესახებ დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ რესპუბლიკის პარლამენტის წრეებში. „ყველა ჩვენგანი,—თქვა მან,—მოუთმენლად ელოდა ორივე პალატის მუშაობის დაწყებას და მთელი ძალებით შეუწყობს ხელს ამას“.

პარლამენტის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებამ დაბნეულობა და არეულარევა გამოიწვია მარიონეტების ბანაკში. მიიღეს რა ინსტრუქციები თავიანთი ბატონებისაგან, მათ ატეხეს ყვირილი და ამაოდ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ პარლამენტი შეიძლება მოწვეულ იქნეს მხოლოდ ლეოპოლდვილში და რომ გიზენგას მთავრობა თითქოს უკანონო იყოს.

დაეყრდნო რა კონგოს რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებას, მიდიბურომ ცხადყო აშკარა უმწეობა ამ მოსაზრებებისა, რომელთა ერთადერთი მიზანი ის არის, რომ მარიონეტებს სურთ — არ დაუშვან კანონიერი სახალხო ორგანოს მოწვევა, რადგან ეშინიათ, რომ იგი განაჩენს გამოუტანს მათს დანაშაულებრივ პოლიტიკას. „ყოველგვარი მაქინაციის მიუხედავად,—განაცხადა თავის გამოსვლაში მიდიბურომ,—ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენი საქმე სამართლიანია, რადგან ხალხის ინტერესებს ვემსახურებით.

## ჯალათი — ნატოს ჯარების სარდალი

### ჟაკ დიუკლოს შეკითხვა პარლამენტში

**პარიზი**, 26 მაისი. (საქდესი). კომუნისტმა სენატორმა (სენის დეპარტამენტისაგან) ჟაკ დიუკლომ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის სახელზე გაგზავნა წერილობითი შეკითხვა საბჭოთა კავშირის არქივებში აღმოჩენილი დოკუმენტის შესახებ, რომელიც ამხილებს ყოფილ ჰიტლერელ გენერალს, ამჟამად კი ნატოს სახმელეთო ჯარების სარდალს ევროპის ცენტრალურ ზონაში შპაიდელს, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის წლებში გასცა ბრძანება დაეხვრიტათ ფრანგი პატრიოტები.

ჟაკ დიუკლო აცხადებს, რომ ეს ბრძანება, რომელმაც სასიკვდილოდ გასწირა მრავალი ფრანგი ჯარისკაცი, არ შეიძლება ჩაითვალოს უბრალო ისტორიულ დოკუმენტად მხოლოდ იმიტომ, რომ მის ავტორს ახლა უკავია მეთაურის მაღალი პოსტი ნატოში და იმიტომ, რომ ფრანგი ჯარისკაცები ამჟამად ექვემდებარებიან ფრანგ პატრიოტთა ამ ჯალათს.

ჟაკ დიუკლო ეკითხება პრემიერ-მინისტრს, რა ღონისძიებების მიღებას აპირებს იგი, რათა ბოლო მოეღოს სასკანდალო მდგომარეობას, როცა ფრანგი ჯარისკაცები ექვემდებარებიან აოამჩანს, რომელიც პასუხისმგებელია ფრანგ პატრიოტთა დაღუპვისათვის.

## მართალს იჭერენ, დამნაშავეს იცავენ

**ნიუ-იორკი**, 26 მაისი. (საქდესი). ალაბამის შტატის გუბერნატორის პატერსონის ბრძანებით ქალაქ მონტგომერიში დააპატიმრეს „თავისუფლების რეისის“ მონაწილეთა ახალი ჯგუფი. მათ ბრალდებათ „მშვიდობისა და წესრიგის დარღვევა“. სინამდვილეში კი „თავისუფლების რეისის“ მონაწილეებს უნდოდათ ერთად— თეთრებსაც და ზანგებსაც — დაელიათ ყავა ავტობუსების სადგურის სასაუზმეში, სანამ გადასხდებოდნენ ავტობუსში და გაემგზავრებოდნენ მისისიპში. როცა შერიფმა გამოიყვანა დაპატიმრებულნი, რათა საპატიმროში გაეგზავნა ისინი, რასისტთა ბრბო ავტობუსების სადგურთან ტაშით შეხვდა მას. ამავე დღეს მონტგომერიში ავტომობილიდან გასროლილი ტყვიით დაჭრეს ზანგი მღვდელი.



**იტალია.** მოდენაში ანტიფაშისტური მიტინგი გაიმართა. პოლიციამ ხელისუფალთა ნებართვის უქონლობა მოიმიზეზა და თავს დაესხა მიტინგის მონაწილეებს. ბევრი დაიჭრნენ.

ფოტო პუბლიფოტოსი.

## პატერსონი-ლისტონი?

**გაიმართება** თუ არა პატერსონისა და ლისტონის შეხვედრა? ზანგი — გიგანტი ჩარლზ სონი ლისტონი, რომელიც მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონობის № 1 პრეტენდენტად ითვლება, დიდი ხანია ოცნებობს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის შეხვდეს ამ ტიტულის ახლანდელ მფლობელს ზანგ ფლოიდ პატერსონს.

ლისტონს იცნობენ როგორც ერთ-ერთ უძლიერეს პრეტენდენტს. თვით პატერსონმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ამ მოკრივეს „აქვს შანსი“ მსოფლიოს ჩემპიონი გახდესო. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩემპიონის ტიტულისათვის პატერსონის მორიგი შეხვედრა განზრახულია მოეწყოს ედი მაჰენთან (აშშ) ან ჰენრი კუპერთან — ბრიტანეთის იმპერიის ჩემპიონთან. თუმცა ეს ორი მოკრივე ლისტონზე გაცილებით სუსტია.

ამჟამად ლისტონმა, როგორც უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან, განაცხადა, რომ მან გამოისყიდა თავისი კონტრაქტი მენეჯერ პეპ ბერონისაგან, რომელსაც ბრალად სდებენ ბოროტმოქმედთა საქმიანობაში მონაწილეობას, რის გამო პატერსონი უარს ამბობს ლისტონთან შეხვედრაზე. ახლა, განაცხადა ლისტონმა, პატერსონთან შეხვედრას არაფერი არ ელობება წინ.

საინტერესოა მოიპოვებს თუ არა ჩარლზ ლისტონი ასეთი შეხვედრის უფლებას?

## კლასიკური ოპერა „ახალი ინტერპრეტაციით“

**დასავლეთ** გერმანიის გაზეთმა „ნოიე რაინ-ცაიტუნგმა“ ამას წინათ გამოაქვეყნა პატარა ცნობა, რომელიც იტყობინებოდა ერთ „ექსცენტრიულ“ ამბავს.

ერთ-ერთი იტალიელი მილიარდერის 72 წლის ცოლმა იტალიის ქალაქ ლივორნოში იჯარით აიღო თეატრი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან თვითმფრინავით ჩამოიყვანა 40 კაცისაგან შემდგარი ორკესტრი, მსახიობთა დასი და დადგა ოპერა „კარმენი“. ოპერის სასმენად სპეციალურად მიიწვია ათასამდე სტუმარი, რომლებმაც არც კი იცოდნენ, თუ რატომ დასდეს მათ ესოდენ დიდი „პატივი“. მაგრამ მალე ყველაფერი გამოირკვა. მილიარდერის ცოლი მარტო იმპრესარიოს როლით როდი დაკმაყოფილდა. თვითონ „იმღერა“ ოპერის მთავარი პარტია და ოპერის დასასრულს მაყურებელს კოცნაც გაუგზავნა.

„პრემიერის“ შემდეგ საოპერო ხელოვნების თაყვანისმცემელი მთელი დასით საგასტროლოდ ჩრდილოეთ იტალიაში გაემგზავრა, რათა ახლა იქ დაეპყრო მაყურებლის გული კლასიკური ოპერის „ახალი ინტერპრეტაციით“.

გაზეთი მართალია მას „ექსცენტრიულ“ ამბავს უწოდებს, მაგრამ ეს უსაქმური მილიარდერის ჭკუამოკლეობას უფრო ჰგავს, რომელმაც არ იცის, სად დახარჯოს თავისი მილიონები.

## ეს სურს ხალხს, მსოფლიოს

**იალტა**, 27 მაისი. (საქდესი). ნიჟნი ორეანდში გრძელდება აზრთა გაზიარება შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის საზოგადო მოღვაწეებს შორის, რაც დახურულ დარბაზში მიმდინარეობს.

ორივე მხარის წარმომადგენლები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ კენედის მომავალ შეხვედრას.

ამერიკის საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ნორმან კაზინსმა საქდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— როცა პრეზიდენტი კენედი პრემიერ-მინისტრ ხრუშჩოვს შეხვდება ვენაში, მჯერა, რომ პრეზიდენტი კენედი თან ჩამოიტანს ამერიკელი ხალხის იმ იმედებს, რომ შესაძლებელია მიღწეულ იქნეს გარკვეული შეთანხმება საყოველთაო მშვიდობის და, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე.

ბუნებრივია, რომ ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ შეხვედრას. ჩვენ შეგნებული გვაქვს იმ საკითხების მთელი სირთულე, რომლებიც უნდა განიხილონ. მიუხედავად ამისა, უნდა დაიწყოს, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, ყოველ შემთხვევაში შეძლებენ მიუახლოვდნენ ისეთი მექანიზმის შექმნას, რომლის დახმარებით შესაძლებელი იქნება საფუძვლიანი შედეგების მიღწევა.

მწერალმა ა. ე. კორნეიჩუკმა, რომელიც საბჭოთა ჯგუფს მეთაურობს საზოგადო მოღვაწეთა შეხვედრაზე, თქვა:

— მე ღრმად მწამს, რომ კეთილი ნების ყველა ადამიანი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მიესალმება ორი დიდი სახელმწიფოს ლიდერების — საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ კენედის შეხვედრას.

სულითა და გულით მსურს, რომ ჩვენი მთავრობის მეთაურისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირველმა შეხვედრამ დასაბამი მისცეს ამინდის შეცვლას ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში.

კომუნისტი
კვირა, 28 მაისი

# რაბინდრანატ თაგორი

[illegible]

...მანისტისა და პედაგოგის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, მხატვრისა და ფილოსოფოსის რაბინდრანატ თაგორის დაბადების 100 წლისთავს.

მსოფლიოს სხვა ხალხებთან ერთად ინდოეთის გენიალური შვილისა და საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის საიუბილეო თარიღს ფართოდ გამოეხმაურებ ჩვენი ქვეყნის ხალხებიც.

დიდი და მრავალმხრივია თაგორის ლიტერატურული მემკვიდრეობა. მის კალამს ეკუთვნის 12 რომანი, ლექსების 50-ზე მეტი კრებული, ასზე მეტი მოთხრობა, 30-ზე მეტი პიესა, დაახლოებით 200 პუბლიცისტური წერილი, მრავალი სიმღერა, აგრეთვე სახელმძღვანელოები სკოლისათვის, შრომები ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. თაგორის ძირითადი ნაწარმოებები მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა გადათარგმნილი.



რაბინდრანატ თაგორი დაიბადა 1861 წლის 7 მაისს ბენგალიის დედაქალაქ კალკუტაში. ბავშვობიდანვე ყოფილა იგი გატაცებული პოეზიით. შემდეგში საფუძვლიანად შეუსწავლია ძველი ინდური ენა სანსკრიტი, მრავალსაუკუნოვანი ინდური კულტურა.

თაგორი ლიტერატურულ სარბიელზე გამოვიდა, როგორც რომანტიკოსი. მაგრამ მთელი მისი შემოქმედების შემდეგში თაგორის შემოქმედების ძირითად მეთოდად იქცა რეალიზმი, რომლის შემწეობითაც მან შექმნა ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებები. ამ ქმნილებებში შესანიშნავად არის ასახული ინდოელი ხალხის უაღრესად ეროვნული, თვითმყოფადი კულტურა და ცხოვრება გასული საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში.

რაბინდრანატ თაგორი საბჭოთა ხალხის დიდი და გულითადი მეგობარი იყო. ამ ოცდაათი წლის წინათ მან იმოგზაურა ჩვენს ქვეყანაში და სამშობლოში დაბრუნებულმა შექმნა წიგნი „წერილები რუსეთზე“. თავის წიგნში თაგორი სიყვარულითა და მეგობრობის გრძნობით წერს საბჭოთა ხალხზე. ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ არსად ისე არ აღვფრთოვანებულვარ, როგორც აქ ამ ქვეყანაშიო, წერდა იგი.

თაგორის ქმნილებანი მსოფლიო მწერლობის ოქროს ფონდში შევიდა და ყველა ქვეყნის ხალხთა საკუთრებად იქცა. დღეს არა მარტო მისი მშობლიური ინდოელი ხალხი, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობა იგონებს სიყვარულით თაგორის სახელს, რომელიც თავისი ნაწარმოებებით იბრძოდა და მოუწოდებდა ხალხს მეგობრობისაკენ, მშვიდობისაკენ მთელ დედამიწაზე.

## სიბრძნის წყაროსთვალი

### რაბინდრანატ თაგორი

**ფუტკარი** ყვავილებს ამოსწოვს თაფლს და მერე ზუზუნით დასტრიალებს, მადლობელი ვარო. ჭრელ პეპელას კი ჰგონია, მადლობა ყვავილებმა უნდა მითხრანო.

**შეყვარებული** ფოთოლი ყვავილად იქცევა, შეყვარებული ყვავილი კი — ნაყოფად.

**ნაბიჯს** ნუ შეანელებ და წინ ისე იარე, ყვავილებს ფეხი არ დაადგა, შენი ცხოვრების მთელ გზას ყვავილები დაამშვენებენ.

**ფესვი** მიწაში დამარხული ტოტია, ხოლო ტოტი ფესვია ცადაზრდილი.

**უსასრული** უძიროა და სწორედ ამიტომ არ აიგო უსასრულის პირას სახლი სიყვარულისა.

**ბოლი** ზეცას ეტრაბახება, ხოლო ნაცარი მიწას, ცეცხლის და-ძმანი ვართო.

**მშვენიერება** სიყვარულში უნდა ხედავდეს თავის თავს და არა პირმოთნეობის სარკეში.

**ცვარი** დავკარგეო, შესჩივლა ყვავილმა შეთენებულ ცას, რომელმაც ყველა მოკიაფე ვარსკვლავი დაკარგა.

## ბაგირის გზა იალბუზზე



**მოსკოვი.** (საქდესი). მოსკოველმა ინჟინრებმა დაამთავრეს იალბუზის ბაგირის სამგზავრო გზის პირველი უბნის დაპროექტება. ეს გზა ყველაზე დიდი საჰაერო მაგისტრალია ჩვენს ქვეყანაში, იგი გაივლის დიდ სიმაღლეზე, მარადიული თოვლის რაიონში. გზის სიგრძე 6.300 მეტრია.

გზა შედგება სამი უბნისაგან. პირველი იწყება „აზაუს“ ველობზე, რომელიც მდებარეობს 2.350 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან და მთავრდება კლდესთან, რომელსაც „ძველი ჰორიზონტი“ ეწოდება. მეორე უბანი გაივლის 3.450 მეტრ სიმაღლეზე. მისი საბოლოო პუნქტი კლდეა, სადაც ააშენებენ სადგურ „მშვიდობას“. მესამე უბანი, რომლის სიგრძე 2.800 მეტრია, გადაიჭიმება სასტუმრო „თერთმეტთა თავშესაფარამდე“, რომელიც მდებარეობს 4.200 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ბაგირის გზით ივლიან მოხერხებული ვაგონები. თითოეულ მათგანში დაეტევა 30 კაცი. მგზავრები იალბუზის გზაზე ორჯერ გადაჯდებიან. მთელ ასვლას მოუნდება 35-40 წუთი.



სურათზე: გაგრის სანაპირო. ფოტო ბ. დადვაძისა.

## საინტერესო მიგნება

# ამეტყველებული ათასწლეულები

[illegible]

...ლაზე აღმოჩენილ ძველთაძველ ერდოიან სახლზე ლაპარაკობს. ქვაცხელა ქარელის ახლოს, ურბნისიდან ოციოდე წუთის სავალზეა. ურბნისელები ამ ადგილს „ტვლეპია ქოხსაც“ ეძახიან. ორიოდე წლის წინათ ქართველმა არქეოლოგებმა ქვაცხელაზე ექვსი ნასოფლარი იპოვნეს, არა ერთიმეორის გვერდით ცალცალკეულად, არამედ ერთიმეორეზე მდებარე, ექვს კულტურულ ფენად ქცეული. პირველ ფენაში ნაპოვნი ერდოიანი სახლი მეოთხე ათასწლეულში, სამოცი საუკუნის წინათ აუშენებია შვილებისა და ოჯახის მოყვარულ კაცს, რომლის არც გვარი ვიცით და არც სახელი. სახლს თიხატკეპნილი იატაკი აქვს, შუაში დედაბოძი, კერიაზე მოხატული და მოჩუქურთმებული ჯამ-ჭურჭელი აწყვია. ახლო აღმოსავლეთში არქეოლოგია არ იცნობს თურმე ამ შორეული ხანის ასე კარგად შენახულ ძეგლს.

ამ სახლის ჩამოქცეულ კედლებთან ერთად არქეოლოგებს უპოვნიათ ნილბიანი მამაკაცის გამოსახულებაც, რომელიც ძალიან ჰგავს თრიალეთურ ვერცხლის თასზე გამოსახულ ტულეფია მელიას, მთელ ახლო აღმოსავლეთში ცნობილ ნაყოფიერების ღმერთს. თრიალეთის ვერცხლის თასი მეორე ათასწლეულისაა, ქვაცხელაზე ნაპოვნი გამოსახულება კი — მეოთხისა.

როდის შეარქვეს ურბნისელებმა ქვაცხელას ტვლეპია ქოხი, არავინ არ იცის, იქნებ ოდესღაც, იმ შორეულ წარსულში, წმიდა ადგილი იყო ქვაცხელა და სწორედ აქ ედგა ნაყოფიერების ღმერთად წოდებულ ტულეფიას თავისი ქოხი-სამყოფელი?

ერთი სიტყვით, ყოველი ახალი, მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენა ბევრ საკითხს ახლებურად ცვლის ისტორიოგრაფიაში. რამდენიმე ხნის წინათ ზოგი ვერც წარმოიდგენდა, თუ ქართულ ენაში შეიძლებოდა ყოფილიყო ურარტული სიტყვა. ურარტუ ხომ ოცდახუთი საუკუნეა აღარ არსებობს! რა ჰქონდა საქართველოს საერთო იმ უძველეს, დღეს აღარარსებულ სახელმწიფოებთან თუ ხალხებთან? ამ თვალსაზრისით პროფესორმა გიორგი მელიქიშვილმა თავის წიგნებში ბნელით მოცულ მრავალ საკითხს მოჰფინა შუქი. ვინ იცის რამდენი საუკუნეა ვამბობთ და ვწერთ. თავდაყირა, ყირამალა, მაგრამ არასოდეს არ გვიფიქრია, რომ ყირა ურარტული სიტყვაა და ნიშნავს მიწას. უძველეს ქართულ ხალხურ სიმღერას შემოუნახავს წინა აზიაში ცნობილი ღმერთის ჰარალეს სახელი. ჰარალე მოსავლის, ჭირნახულის ღვთაებად ჰყოლიათ დასახული ძველ ხალხებს. იმ ქართულ სიმღერაში ... ხელმწიფეა, თარი ძლიერი და პარი მოწყალებას ნიშნავს. უფალო, ძლიერო ჰარალე, მოიღე მოწყალებაო, ბუტბუტებდა მიწასმიჯაჭვული შორეული წინაპარი.

საგულისხმოა კიდევ ერთი რამ. როგორც პროფესორი გიორგი მელიქიშვილი აღნიშნავს, ჰარალეს იცნობდნენ შუმერებიც. ისინი კი ჯერ კიდევ მეოთხე-მეორე ათასწლეულებში ცხოვრობდნენ ღლევანდელი ერაყის მიწა-წყალზე. მეორე ათასწლეულის დამლევს შუმერები ბაბილონელებში გაითქვიფნენ. მეცნიერებამ საუკუნეთა მანძილზე არაფერი იცოდა, იყვნენ თუ არა ოდესმე ამ ქვეყნად შუმერები. ასიოდე წლის წინათ ირლანდიელმა ასუროლოგმა ჰინკსმა, რომელიც ასურულ-ბაბილონური ლურსმნული დამწერლობის თავისებურებებს სწავლობდა, აღმოაჩინა ამ გადაშენებული და მივიწყებული ხალხის არსებობა. ჰინკსმა ისიც დაამტკიცა, რომ ლურსმნული დამწერლობა თავდაპირველად შუმერებს შემოუღიათ, ჯერ კიდევ მეოთხე ათასწლეულში.

შუმერმა კაცმა თითქმის იმ ხანად დაწერა თიხაზე ეპოსი „გილგამეში, ენკიდუ და საიქიო“, როცა აქ, საქართველოს მიწაწყალზე, ერდოიან სახლს აშენებდა ქვაცხელელი კაცი.

**ოცდათერთმეტი** წლის წინათ ცნობილი რუსი ასუროლოგი და შუმეროლოგი ვ. შილეიკო ლურსმნული ასოებით აჭრელებულ თიხის ფირფიტაზე მუშაობის დროს მოულოდნელად გარდაიცვალა. რამდენიმე ხნის შემდეგ შილეიკოს ქვრივმა ის თიხის ფირფიტა მოსკოვში სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გადასცა. ოცი წლის მანძილზე იდო მუზეუმში შუმერთა მთავარ ქალაქ ნიპურიდან ჩამოტანილი ფირფიტა, წაუკითხავი და ხელუხლებელი.

1957 წლის შემოდგომაზე მოსკოვში სტუმრად ჩამოვიდა პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი შუმეროლოგი სამუელ ნოა კრამერი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა მოსკოვისა და ლენინგრადის არქეოლოგიური კოლექციების შესწავლა. იგი ლენინგრადში აღარ წასულა, სამი კვირა მოსკოვში, სახვითი ხელოვნების მუზეუმში გაატარა. შილეიკოს ნაქონმა თიხის ფირფიტამ მოსვენება დაუკარგა კრამერს, რომელსაც არაერთი შუმერული მითი თუ ეპიკური პოემა წაუკითხავს ევროპისა და ამერიკის მუზეუმებში. კრამერამდე მეცნიერება არ იცნობდა მრავალ შუმერულ ლიტერატურულ ძეგლს.

რა უნდა ეწეროს შილეიკოსეულ თი-...

[illegible]

...წვეტიანი ჩხირით. ფირფიტამ კი თითქმის ოთხი ათას წელიწადს გაუძლო და ჩვენამდე მოიტანა გულმოკლული ჭირისუფლის ხმა. მამა შუმერულად ბაბა ყოფილა და ლუდინგირა მზის ღმერთს უტუს ევედრება, მიხედე, მოუარე ჩემს საყვარელ ბაბას, არ მოაკლო წყალი და შუქიო.

თვით კრამერი ამ ელეგიათა მნიშვნელობაზე წერს: „ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით ლუდინგირას მიერ შექმნილი ელეგიები ამ ჟანრის უძველესი და უძვირფასესი ნიმუშებია. ისინი რამდენიმე საუკუნით უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე დავითის გლოვანი საულისა და იონათანის გამო, ან ჰექტორის დასატირებელი ის სამგლოვიარო სიმღერა ჰომეროსისა, რომლითაც ესოდენ ნაღვლიანად მთავრდება „ილიადა“.

„ორი შუმერული ელეგია. ახალი შუმერული ლიტერატურული ჟანრი“, ასე ეწოდება პროფესორ კრამერის წიგნს, რომელიც აკადემიკოს ვ. სტრუვეს წინასიტყვაობით გამოსცა აღმოსავლური ლიტერატურის გამომცემლობამ მოსკოვში.

განა საოცრება არ არის ჩამოჯდე მეოთხე ათასწლეულის სახლის კერასთან ქვაცხელაზე და მოისმინო მეორე ათასწლეულის ხმა, რომელიც თიხისათვის მიუნდვია ვინმე ნიპურელ ლუდინგირას?

**გ. გოგიაშვილი.**



ტყვარჩელი. მეშახტეთა სანატორიუმ „ლალიძგაში“ გაიხსნა საკურორტო სეზონი. ახლა აქ ისვენებს და მკურნალობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 180 კაცი.

სურათზე: მეშახტეთა სანატორიუმ „ლალიძგაში“.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## სამი საერთაშორისო ტურნირი

**ხვალ** დონის როსტოვში, ლვოვსა და მოსკოვში ერთდროულად დაიწყება 3 საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომლებშიც გამოვლენ სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი წარმომადგენლები — გროსმაისტერები, საერთაშორისო ოსტატები, ოსტატები.

დონის როსტოვის ასპარეზობა მიძღვნილია მ. ი. ჩიგორინის ხსოვნისადმი, აქ გამოვლენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის მოჭადრაკეები. მათ შორის იქნებიან ბონდარევსკი, ტაიმანოვი, პოლუგაევსკი, ფილიპი, ლიბერტი, ბობეკოვი და სხვ.

ლვოვში მოეწყობა ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი. მოსკოვის მესამე საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ სმისლოვი, ბრონშტეინი, ტოლუში, ბისპაიერი, პახმანი, ოლაფსონი და სხვ.

## უძლიერესთა შეხვედრები

**თბილისის** მონადირეთა კავშირის სტენდზე ორი დღეა გრძელდება ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს სასტენდო მსროლელთა ასპარეზობა. აქ ერთმანეთს პირველობას ეცილება 21 სპორტის ოსტატი და 14 პირველთანრიგოსანი.

ადგილიდან სროლაში ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა და პირველი ადგილი დაიკავა ზ. მაჩხანელმა, რომელმაც 200 მფრინავ სამიზნედან 181 დააზიანა. მეორე ადგილზე გამოვიდა ოსტატი ბ. სეგალევიჩი (178), მესამეზე — ოსტატი ა. ხახანაშვილი (177).

28 მაისი ასპარეზობის უკანასკნელი დღეა. გაიმართება მრგვალ სტენდზე სროლა.

## სამასი წერილი პოლარელ ექიმს

**ლენინგრადი,** 26 მაისი. (საქდესი). „მეექვსე საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიცია. სადგური ნოვოლაზარევსკაია. ექიმ ლ. ი. როგოზოვს“.

დაახლოებით სამასი წერილი, რომლებზეც ასეთი მისამართია, მიიღო უკანასკნელ დღეებში არქტიკულმა და ანტარქტიკულმა ინსტიტუტმა. ლ. ი. როგოზოვის მამაცობის ამბავი, რომელმაც დაზამთრების მძიმე პირობებში პოლარელი ამხანაგების დახმარებით თვითონ გაიკეთა ოპერაცია, ცნობილი გახდა მთელ მსოფლიოში.

ბევრი გულთბილი, მეგობრული მილოცვა გაუგზავნეს მამაც პოლარელ ექიმს მოსკოვიდან, კალინინიდან, გორკიდან, ყაზანიდან, კიევიდან, კრასნოიარსკიდან, ნოვოსიბირსკიდან.

აი საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიღებული წერილები. ბულგარეთის საშუალო პოლიტექნიკური სასწავლებლის რუსული ენის მასწავლებელი კოსტა ვეშკოვი იუწყება, რომ ექიმ ლ. ი. როგოზოვის გმირობა მან გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოდან“ შეიტყო. „საბჭოთა ადამიანებთან ერთად ვამაყობ თქვენი გმირობით, — სწერს იგი. — გვაცნობეთ, როგორ ცხოვრობთ და მუშაობთ ანტარქტიდაში? როგორია თქვენი ჯანმრთელობა ახლა, ოპერაციის შემდეგ?“

მთელი ვრცელი კორესპონდენცია ექიმ ლ. ი. როგოზოვს, რომელიც, როგორც იუწყებიან ანტარქტიდიდან მიღებულ რადიოგრამებში, ამჟამად ძალიან კარგად გრძნობს თავს და უკვე მუშაობს, გაეგზავნება მას პირველი, შესაძლებლობისთანავე.

## წითელი თუმნიანები

ფელეტონი

**ამირანი** ცოლშვილს აგარაკზე გასაგზავნად ამზადებდა და კაპიკს კაპიკზე ადებდა. რესტორანში ხომ საბოლოოდ ამოიკვეთა ფეხი, ჰიქა ლუდის ფულსაც არ იტოვებდა სახარჯოდ, უფულობის გამო ერთხელ კაი სირცხვილიც ჭამა ავტობუსში: ნაცნობი მანდილოსანი შეხვდა და ამაოდ იფათურა ხელი ცარიელ ჯიბეში. ქალმა აუღო ბილეთი.

ვერ იქნა და ვერა, ფულს მაინც ვერ მოუყარა თავი. სწორედ ამ გაჭირვების დროს გამოუტყვრა გაუთვალისწინებელი ხარჯები: ჯერ იყო და ქორწილში დაპატიჟეს, ხელცარიელი ვერ წავიდა და ბარე 40 მანეთი იქ „მიაჭყლიტა“, მერე სამსახურში სამ ზედიზედ გარდაეცვალა ბებია, გამზრდელი დეიდა და მამინაცვალი. ათ-ათი მანეთი მათ დასახმარებლად შეაგროვეს, და მეტი არც იყო ამირან არჩვაძის მიერ დანაზოგი ფული.

არა და ცოლმა სული ამოართვა, მთელი ზაფხული ქალაქში ნუ გამომახრჩეო.

კაცმა რომ თქვას, ქალის საყვედურები სულაც არ იყო უსაფუძვლო. ამირანის ამხანაგებმა ყველამ რაღაც მოახერხა: ზოგმა მოხუც მშობლებთან გაგზავნა ცოლშვილი სოფელში, ზოგმა ნათესავთან, სხვებმა შეღავათიანი საგზურები იშოვნეს. სოფელში ამირანსაც ჰყავდა ვილაც-ვიღაცები, მაგრამ ქალი ღვიძლს იტკივებდა და მაინცდამაინც კისლოვოდსკი აიჩემა.

არა, კაცს ბედი უნდა ჰქონდეს, თორემ არ ეშველება. რაც ამირანმა ინსტიტუტი დაამთავრა და სამსახური დაიწყო, ძველ ფულზე რომ ვიანგარიშოთ, სულ ცოტა ათი ათასი მანეთი მაინც ექნება დადებული თანამშრომელთა ბებია-ბაბუა-მამიდა-პაპიდების დასაფლავებისათვის. მას კი ერთხელაც არ მიეცა შემთხვევა უკანვე ამოეგო ეს თანხა... ბედი გინდა! აგერ ამბროსის სწორედ ამ ზაფხულს მოუკვდა მამინაცვალი. აქეთ სამსახურში მოუგროვეს ფული, იქით კუთხე-მეზობელი შეეწია. მკვდარიც პატიოსნად დამარხა პურ-ღვინით და ფულიც დარჩა.

— შენ მაინც რამ ამოგწყვიტა ასე, მარსიდან ხომ არა ხარ ჩამოფრენილი, ნათესავი არავინ გყავს ამ დედამიწის ზურგზე? — შესჩივლა ამირანმა ცოლს სააგარაკო სამზადისის იმ მძიმე დღეებში.

— ნათესავის მეტი რა მყავს, რაზე გაგახსენდა ახლა ჩემი ნათესავები?

— თუ გყავს, სად არიან მერე? დავიჯერო არავინ მოკვდა ამ ათ წელიწადში?

— სიკვდილს და სიგლახეს რას ემართლები, შე უწამებელო.

— კი არაფერს ვერჩი, ღმერთო კარგად ამყოფოთ, მაგრამ დავეპატიჟებინეთ ერთი გასვენებაში, ეცათ პატივი.

— გასვენებაში კი არა, დეიდაშვილი რომ გავათხოვე, ქორწილში ვერ წაგიყვანე, მიხალოცს დაემალე.

—ქორწილი კიდევ სხვა არის. მკვდარს მეტი პატივისცემა უნდა:

— ქალი გაოცებით შეაშტერდა ქმარს. მაგრამ ეტყობოდა ამირანი ხუმრობის გუნებაზე სულაც არ იყო.

— თუ ასე გტკივა გული ჩემიანებზე, მამიდაჩემია აგერ სასიკვდილოდ გაწყობილი და ვნახოთ რა პატივსაც სცემ.

— რომელი მამიდაშენი, ქალო?! — იყვირა ამირანმა.

— რომელი და ჩუღურეთში რომ იყო გათხოვილი.

— რას მელაპარაკები! მერე ვერ იტყვი: ადექი და ახლავე წადი სანახავად. როგორც კი ცუდად შეიქნეს, დამიკარი დეპეშა... გვირგვინს აქედან წამოვიღებ.

ეს კი მეტისმეტი იყო. ქალი მთლად დაიბნა...

— რას მომჩერებიხარ, წადი და ნახე, გაუხარდება.

— რაღა გაუხარდება აწი, შე კაცო, ქალი გონზე აღარ არის. რა წუთში გათავდება, არ იციან.

— ჰოდა მით უკ... უარესი. წადი და როგორც კი მოკვდება, დეპეშა დამიკარი.

— შენ რაღაცას ეშმაკობ, კისლოვოდსკში წასვლა გინდა გადამათქმევინო? უკაცრავად. სადაც გინდა გააჩინე ფული.

— არა, შენს თავს ვფიცავ. დავასაფლავებთ მამიდაშენს და იმავე დღეს კისლოვოდსკში გაგიშვებ.

ქალს რაღაც არ სჯეროდა ქმრის გულწრფელობა, მაგრამ მაინც წავიდა მამიდის სანახავად. ამირანი კი მეორე დღეს დაღვრემილი მივიდა სამსახურში და მანამ არ გახსნა წარბი, სანამ არ ჰკითხეს, რა მოგივიდაო.

— რაღა რა მომივიდა, გამზრდელი მამიდა მიკვდება.

შემდეგ დღეებში ამირანი კიდევ უფრო დაღვრემილი და შეწუხებული გამოიყურებოდა. მხოლოდ ერთმა ღმერთმა და ამირანმა იცოდნენ ამის ნამდვილი მიზეზი: ცოლისგან დეპეშა იგვიანებდა.

ბოლოს სანატრელი დეპეშაც მოვიდა. ამირანი ოხვრითა და ვაივიშით წარუდგა დირექტორს და ერთი კვირის შვებულება ითხოვა.

— მყავდეს მაინც ჩემს მეტი პატრონი, არა და პურ-ღვინით თუ არ გავასვენე, რას იტყვის ხალხი.

ამირანის ფანდმა გაჭრა. დატრიალდა ადგილკომის თავმჯდომარე, მოიწვიეს სხდომა, შეადგინეს ამირანის განსვენებული მამიდის დამკრძალავი კომისია. გააზანზალეს თანამშრომელთა სია და მოკრიბეს ათ-ათი მანეთი. ცოცხალი ყვავილების გვირგვინი შეუკვეთეს და დასაფლავებაზე წარსაგზავნად დელეგაციაც გამოჰყვეს.

ყველაფერმა წესიერად ჩაიარა; იტირეს, ითავცემეს და ღირსეულად დაასაფლავეს ამირანის „გამზრდელი მამიდა“.

დასაფლავების მეორე დღეს ამირანი და მისი მეუღლე შინ ისხდნენ და შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს:

— ძალიან დაფასებულად კი დაასაფლავეს შვილებმა საცოდავი მამიდაჩემი.

— ნამეტანი. დიდებული პურმარილი იყო. რა თევზი, რა შეკაზმული ლობიო, ღვინო ხომ იყო და იყო. ხარებივით დაეწაფა ხალხი, ბევრი დათვრა.

— ხუმრობა ხომ არ იყო, 50 ფუთი ღვინო შეისვამ. შენც კი იყავი გვარიანი შეჭიკჭიკებული, ამირან...

— არა, ამ, არც ისე...

— ეგ არაფერი, მაგრამ ის როგორ მოგივიდა, შესანდობარი რომ აიღე და მიცვალებულის სახელი დაგავიწყდა, გამზრდელი მამიდაო, კი უმტკიცებდი ყველას.

— აბა, ეს კი ვერ მომივიდა კაი საქმე, — ჩაიბუტბუტა ამირანმა და მაშინვე ადგილკომის თავმჯდომარის ირონიული ღიმილი გაახსენდა, გაახსენდა და სირცხვილისაგან უხერხულად შეიშმუშნა.

ალბათ სირცხვილის ამ გრძნობამ უკარნახა მას იმ წუთს თავის მართლებასავით ეთქვა:

— მე რომ მკითხო, ამდენი ხარჯი და ეს ქელეხ-მელეხი სულაც არ არის საჭირო. მაშინ არც ეს შეწევნობა-გადასახურავები დაგვჭირდებოდა.

თქვა ეს და მაშინვე ენაზე იკბინა ამირანმა. მას ჯიბეში ეწყო „გამზრდელი მამიდის“ დასაფლავებისათვის თანამშრომლების მიერ შეგროვებული წითელი თუმნიანები და უნდა გაჩუმებულიყო.

— აცხონა ღმერთმა მამიდაშენი, კაი ტკბილი ქალი იყო. — უცებ შეცვალა მან საუბრის მიმართულება, — ჩემი სახელით ერთი კარგი საკურთხი გაუკეთე და მერე კისლოვოდსკში წადი. — და ამირანმა თანამშრომელთა სიის გრძელ ქაღალდში გახვეული ფული გაუწოდა მეუღლეს.

— სად გქონდა, ამირან, ამდენი ფული! — აღმოხდა ქალს. მაგრამ როგორც კი სიას მოჰკრა თვალი, მაშინვე მიხვდა ყველაფერს და გაჩუმდა. წითელი თუმნიანები გადათვალა, ქმარს შუბლზე აკოცა და სიხარულით შესძახა:

— ხვალ აგარაკზე მივდივარ!

**მ. მიქაძე.**

## კომუნისტი სპორტი

## საქართველოს მოჭადრაკეები ბუქარესტში

**გუშინ** დილით ჩვენი კორესპონდენტი ბუქარესტში ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს მოჭადრაკეებს, რომლებიც აქ იმყოფებიან რუმინეთ-საქართველოს ტრადიციულ საჭადრაკო მატჩში მონაწილეობისათვის.

ყურმილს იღებს ოსტატი მ. ტოგონიძე. ჩვენ მას ვთხოვეთ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთათვის გაეზიარებინა აზრი რუმინელ მეგობრებთან შეხვედრაზე, მიღებულ შთაბეჭდილებებზე, მოეთხრო მომავალ ასპარეზობაში მონაწილეთა და შეჯიბრების დებულების შესახებ.

აი რა გვიამბო მან:

აქ ჩვენ ისე ვგრძნობთ თავს, როგორც თბილისში, საკუთარ სახლში. მოხიბლული ვართ რუმინელთა სტუმართმოყვარეობით, ყურადღებით, გულისხმიერებით. ბუქარესტის სპორტულმა საზოგადოებამ, მოჭადრაკეებმა შესანიშნავი შეხვედრა მოგვიწყეს. დროს არ ვკარგავთ, თავისუფალ საათებში უკვე მოვასწარით ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება. დასათვალიერებელი კი აქ ბევრია.

მოკლედ მომავალი ტურნირის შესახებ, რომელიც დღეს საღამოს იწყება. ეს რუმინეთისა და საქართველოს მოჭადრაკეთა კოლექტივების მეორე შეხვედრაა. როგორც ცნობილია, გასულ წელს იგი დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკეთა გამარჯვებით. ბუნებრივია, რუმინელი მეგობრები შეეცდებიან თავიანთ დედაქალაქში რევანში აიღონ.

თვითეული გუნდი გამოდის ოთხი მოჭადრაკე ვაჟით, ერთი ჭაბუკით და სამი ქალით. ყოველ დაფაზე მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან ოთხჯერ, ტურები გაიმართება საღამოობით, გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყობა დილით.

პირველ ტურში თანმიმდევრული ნომერაციით ჩვენი გუნდის შემადგენლობა ასეთი იქნება — გურგენიძე, შიშოვი, ბუსლაევი, გიორგაძე, ჯინჯიხაშვილი, გაფრინდაშვილი, ტოგონიძე და კაკაბაძე. პირველ დაფაზე თეთრებით ითამაშებს გურგენიძე, მეორეზე შავებით — შიშოვი და ა. შ.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ ვინ იქნებიან ჩვენი მეტოქენი. ესენი არიან რუმინეთის ჩემპიონები, პრიზიორები, მოწინავე მოჭადრაკეები — საერთაშორისო ოსტატები, ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები, რომლებსაც საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობის კარგი ტრადიცია აქვთ. მათ რიგებში ვხედავთ დრიმერს, გიცესკუს, პოლიქრონიადეს, ნიკოლაუს, ტეოდორესკუს და სხვ.

ვეცდებით ტურნირი წარმატებით დავამთავროთ, რუმინელ ამხანაგებს კარგი თამაში ვუჩვენოთ.

## ტალახის წვიმა თბილისში

**წელს** უჩვეულო თბილი გაზაფხულია, განსაკუთრებით მაისი. თითქმის მთელი თვის მანძილზე საქართველოში ტემპერატურა აღწევდა 30-35 გრადუსს. ასეთი სითბო არ ყოფილა 1945 წლიდან. ეს გამოწვეული იყო ამიერკავკასიაში სამხრეთიდან ჰაერის დიდძალი თბილი მასების გავრცელებით.

მაგრამ 27 მაისს ამინდი მკვეთრად შეიცვალა. თუ 26 მაისს თბილისში ტემპერატურა 23-25 გრადუსს აღწევდა, 27 მაისს დღის 3 საათზე იგი 13-16 გრადუსამდე დავიდა, იყო ქარი და წვიმა. ეს კი გამოიწვია იმან, რომ საქართველოში დასავლეთიდან შემოიჭრა ჰაერის ცივი მასები.

გუშინ თბილისში შემჩნეული იყო საკმაოდ საინტერესო მეტეოროლოგიური მოვლენა — დილით ცა დაიფარა მოწითალო-რუხი ღრუბლებით, წამოვიდა ტალახიანი წვიმა, რომელიც ჭუჭყიან ლაქებად ედებოდა ქუჩებს, ფანჯრებს, გამვლელთა ტანსაცმელს. როგორც ამინდის ბიუროში აგვიხსნეს, წინა დღეებში აფრიკის უდაბნოებში ავარდნილი მტვერი მოწითალო ღრუბლების სახით გამოჰყვა ჰაერის თბილ მასებს, ირანზე გამოვლით მოაღწია ჩვენამდე და წვიმასთან ერთად ჩამოვიდა ქვევით. ასეთი მოვლენები წინათაც იყო შემჩნეული საქართველოში.

ტალახის წვიმა დაიწყო დილის 10 საათზე და დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

28 მაისი



**თეატრები:** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ქეთო და კოტე (დღისით), რიგოლეტო (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ჰამლეტი (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ჩარლის დეიდა (დღისით), რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — აფროდიტეს კუნძული (დღისით), სახიფათო ასაკი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნევის შევარდენი (34-ე აბონ., 12 ს.), ჩიკორი (43-ე აბონ., 7 ს.).

**ტელევიზია:** 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — გადაცემა ციკლიდან „ჩვენ გვიყვარს სპორტი“ — რეპორტაჟი საცურავი აუზიდან, 12.35 — მხატვრული ფილმი — „გიორგი სააკაძე“ (მეორე სერია), ფილმის შემდეგ ინგლისური ენის გაკვეთილი, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.00 — კონცერტი, 19.35 — კინონარკვევი, 19.55 — გადაცემა — „კინო და კომპოზიტორი“, 20.25 — ახალი დოკუმენტური ფილმი „ანთებული კუნძული“.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-68-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-72-80, სამდივნოსი —3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის—3-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3-81-54, სოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების—3-80-84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის—3-16-90, წერილების—3-73-24, საილუსტრაციო—3-20-48, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 05548 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.